პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 63 (18605) ხუთშაბათი, 17 მარტი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას — პარტიული ზრუნვა და ყურადღება!

ᲓᲘᲓᲘᲜᲐᲦᲘᲡᲘ სოციალიზმის ეტაპზე საზოგადოების ეკონომიკური და სოციალურ პროგრესს, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას, მათი იდეურ-პოლიტიკური, ინტელექტუალური დონის ამაღლებას განაპირობებს პიროვნების კულტურულ მოთხოვნილებათა ინტენსიური განვითარება, მისი სულიერი სახის ყოველმხრივ სრულყოფა. ამ პროცესში უმნიშვნელოვანესი როლი ეკუთვნის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებიც პარტიის იდეოლოგიური არსენალის განუყოფელი ნაწილი, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ქმედითი საშუალებაა. „...ხალხის მასები არსად ისე არ არიან დაინტერესებული ნამდვილი კულტურით, როგორც ჩვენში; არსად ამ კულტურის საკითხები არ ისმება ისე ღრმად, ისე თანამიმდევრულად, როგორც ჩვენში...“ — წერდა ვ. ი. ლენინი.

მართლაც, მილიონობით საბჭოთა ადამიანი — მუშები, კოლმეურნეები, მოსამსახურეები, სტუდენტები, მოსწავლეები — თავიანთ თავისუფალ დროს ახმარენ მხატვრულ შემოქმედებას, თვითმოქმედი წრეების მუშაობაში მონაწილეობას, ბიბლიოთეკებში წიგნების კითხვას, მუზეუმების დათვალიერებას. ამჟამად მარტო ჩვენს რესპუბლიკაში არის დაახლოებით 2600 საკლუბო დაწესებულება, 4.149 ბიბლიოთეკა, 46 კულტურისა და დასვენების პარკი, 110 მუზეუმი, 95 კულტურის სახალხო უნივერსიტეტი, 33 სახალხო თეატრი.

კულტურის დაწესებულებანი ეფექტიან დახმარებას უწევენ რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა ორგანოებს, კომკავშირულ ორგანიზაციებს მასების ინტერნაციონალური და პატრიოტული, სამართლებრივი და ესთეტიკური აღზრდის საქმეში, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების, საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციების, პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის პროპაგანდაში, სოფლის მოსახლეობის კულტურული მომსახურების პრობლემების გადაწყვეტაში.

საქმისადმი შემოქმედებითი, კომპლექსური მიდგომით, აღმზრდელობითი ზემოქმედების ახალი ფორმების ძიებით გამოირჩევა, მაგალითად, ონის, საგარეჯოს რაიონული კულტურის სახლების, ოჩამჩირისა და გურჯაანის რაიონების ცენტრალური ბიბლიოთეკების მუშაობა. რესპუბლიკაში ბევრია კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ნამდვილი ენთუზიასტი. ბევრი ძალ-ღონე, ენერგია, გულის სითბო მოახმარა საყვარელ საქმეს გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა გ. ელიავამ. მუზეუმის მცირედი მატერიალური ბაზის მიუხედავად მან მოახერხა შეექმნა ერთობ საინტერესო ექსპოზიცია, კულტურის სახალხო უნივერსიტეტი, ჩაება ახალგაზრდობა ქართული ვაზის ძველი, დავიწყებული ჯიშების ძიებასა და აღორძინებაში.

ჩაუნერგონ ადამიანს მაღალი ზნეობრივი თვისებები, განუვითარონ შემოქმედებითი უნარი, წარმართონ ისინი საზოგადოებრივად სასარგებლო კალაპოტით — აი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა უმნიშვნელოვანესი ამოცანა, თანაც პოლიტიკური ამოცანა, რომელიც მოითხოვს პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიურ ყურადღებას.

დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის მოთხოვნების შესაბამისად მთელი აქტუალურობით დგება ისეთი საკითხები, როგორიც არის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სრულყოფა, მათი აღმზრდელობითი პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება ადამიანების შინაარსიანი დასვენების უკეთ ორგანიზაციისათვის, მათი შემოქმედების შესაძლებლობათა წარმოჩენის, მშრომელთა კულტურული დონის ამაღლების, მათი თვალსანიერის გაფართოების, საბჭოთა ადამიანის პოლიტიკური და მოქალაქეობრივი სიმწიფის, შრომითი, სოციალური აქტიურობის ამაღლების მიზნით. კულტურის დაწესებულებანი უნდა იდგნენ სოციალისტური დისციპლინისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლის წინა ხაზზე, აქტიურ გავლენას ახდენდნენ კონკრეტული სამეურნეო პრობლემების გადაჭრაზე, სტიმულს აძლევდნენ ნარმოების ეფექტიანობის ამაღლების რეზერვების ძიებას, მონინავე გამოცდილების გავრცელებას, სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობის ზრდას.

ამავე დროს რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებსა და ქალაქებში შესუსტებულია პარტიული ხელმძღვანელობა ამ უმნიშვნელოვანესი აღმზრდელობითი სფეროსადმი. თანამიმდევრულად არ ხორციელდება ადგილებზე „სოფლის მოსახლეობის საბინაო, კომუნალურ-საყოფაცხოვრები და სოციალურ-კულტურული პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის დადგენილების მოთხოვნები. პარტიული კომიტეტები არაალეგულარულად, ხშირად ფორმალურად იხილავენ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის პრობლემებს, იღებენ ზოგად დადგენილებებს, რომლებიც არავის არაფერს არ ავალებენ, ნაკლებად ზრუნავენ მოძმე რესპუბლიკებში შეძენილი მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის.

ამის შედეგად ბევრი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობა მოკლებულია გეგმაზომიერებას, კონკრეტულობას, არ არის დაკავშირებული შრომითი კოლექტივების აქტუალურ სოციალურ და ეკონომიკურ ამოცანებთან. ხშირად ეწყობა ნაკლებ ეფექტიანი ღონისძიებანი მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური და ასაკობრივი ჯგუფების ინტერესებისა და მოთხოვნილებების გაუთვალისწინებლად. ჯერ კიდევ არის ფორმალიზმის, თვალის ახვევის ფაქტები კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ლექციური მუშაობის ორგანიზაციაში, სადაც შეიმჩნევა რაოდენობრივი მაჩვენებლებით გატაცება ხარისხის საზიანოდ.

მთელ რიგ რაიონებში მხატვრული თვითმოქმედების ბევრი წრე და კოლექტივი მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. მეტწილ საკლუბო დაწესებულებებში არ არის „კლუბები ინტერესების მიხედვით“, ისტორიულ-მხარეთმცოდნეობის, სამეცნიერო-ტექნიკური, ფოტო-კინემოყვარულთა წრეები და ა. შ.

როგორც ცხადყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების მიერ მოწყობილმა შემოწმებამ, ზემდგომ ორგანოებში ნარდგენილ ანგარიშებში ხშირია წამატების ფაქტები. მაგალითად, თუ ანგარიშების მიხედვით ვიმსჯელებთ, ქალაქ ტყიბულის ზონაში ბიბლიოთეკებში წიგნის კითხვისა და წიგნების ფონდის ბრუნვადობის მაჩვენებლები აღემატება საშუალო საკავშირო მაჩვენებლებს. მაგრამ ამავე დროს გამოკითხულ მკითხველთა 71 პროცენტი უკმაყოფილებას გამოთქვამს სწორედ იმის გამო, რომ არ შეუძლიათ მიიღონ ბიბლიოთეკაში საჭირო წიგნი. ცხინვალის რაიონში საკლუბო დაწესებულებებთან ფორმალურად მოქმედებს მხატვრული თვითმოქმედების 138 წრე და 89 კოლექტივი, ხოლო შემოწმების დროს გამოირკვა რომ ეს ციფრები გაზვიადებულია. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის, რომ უწყებრივმა შემოწმებებმა რატომღაც ვერ აღმოაჩინეს ამგვარი დარღვევები.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების გულგრილი დამოკიდებულება, არაკომპეტენტური ხელმძღვანელობა კულტსაგანმანათლებლო მუშაობისადმი ხელს უწყობს იმას, რომ ხშირად კულტურის კერები პრაქტიკულად უმოქმედოდ არიან. მაგალითად, მარნეულის რაიონში 16 სოფლის კლუბის შერჩევითი შემოწმების დროს გამოირკვა, რომ მხოლოდ ერთ მათგანში ტარდებოდა წრის მეცადინეობა.

მოსახლეობის კულტურული მომსახურების ხარისხი ბევრად არის დამოკიდებული კულტსაგანმანათლებლო დარგის მუშაკთა განათლების დონეზე და პროფესიულ კვალიფიკაციაზე. პარტიის რაიკომები, რაიაღმასკომები დღენიადაგ უნდა ზრუნავდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში კადრების სწორი შერჩევის, განაწილებისა და დამკვიდრებისათვის, მათი კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის სრულყოფისათვის, საინფორმაციო-პროპაგანდისტული, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის, მშრომელთა კულტურული დასვენების ორგანიზაციის პროფესიული ჩვევების გამომუშავებისათვის. ამავე დროს ამ საქმეში ჯერ კიდევ ბევრი გადასაჭრელი პრობლემაა. გაკვრივებას იწვევს საქართველოს კულტურის სამინისტროს, პროფსაბჭოს, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელთა პასიური პოზიცია, რომლებიც ურიგდებიან იმას, რომ რესპუბლიკაში კლუბების მუშაკთა მხოლოდ 2 და ბიბლიოთეკების მუშაკთა მხოლოდ 19 პროცენტს აქვს სპეციალური უმაღლესი განათლება.

პარტიული ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა უთმობდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკების პრესტიჟისა და საზოგადოებრივი ავტორიტეტის ამაღლების საკითხებს, ზრუნავდნენ მათს საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობებისათვის, მატერიალური და მორალური სტიმულირებისათვის. სამწუხაროდ, რესპუბლიკის მეტწილ რაიონებში არ სრულდება სალიდერეტივო ორგანოების დადგენილებანი, რომლებიც ითვალისწინებენ კულტსაგანმანათლებლო დარგის მუშაკთა უზრუნველყოფას გათბობისა და განათების მქონე უფასო ბინებით, აგრეთვე მათთვის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახსრებიდან ხელფასის პრემიული დანამატების გადახდას.

მთელი რიგი პარტიული კომიტეტები, რაიაღმასკომები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ კულტურის დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განმტკიცებას, მათი მუშაობის ზუსტ და ეფექტიან ორგანიზაციას. მაგალითად, რესპუბლიკის 10 რაიონში მოწყობილი შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ 936 კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებიდან 68 ავარიულ მდგომარეობაშია, 128 საჭიროებს კაპიტალურ რემონტს, 85 განლაგებულია დაქირავებულ შენობებში, დაწესებულებათა 96 პროცენტს არა აქვს გათბობა, ხოლო კლუბებისა და კულტურის სახლების 60 პროცენტი არ არის უზრუნველყოფილი მუსიკალური საკრავებით.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ პარტიული და საბჭოთა ორგანოების უყურადღებობის გამო არ ითვისებენ ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრებს, რომლებიც გამოყოფილია კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა შენობების რემონტისათვის, ინვენტარისა და მოწყობილობის შეძენისათვის. მაგალითად, ხაშურის რაიონში ამ მიზნებისათვის გამოყოფილი სახსრებიდან უკანასკნელი ორი წლის მანძილზე არც ერთი მანეთი არ აუთვისებიათ, ხოლო ცხინვალის რაიონში მხოლოდ 20 პროცენტი აითვისეს. ხშირად კულტურის დაწესებულებათა შენობები დაკავებული აქვთ სხვა ორგანიზაციებს.

ბუნებრივია, საქმის ასეთ ვითარებაში კულტურის სახლები, კლუბები, ბიბლიოთეკები „მკვდარ კაპიტალად“ რჩება და საეჭვოა, რომ შეეძლოთ მიიზიდონ ადამიანები თავისუფალ დროს.

როგორც ცხადყოფს რუსეთის სფსრ რესპუბლიკის, უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის მთელი რიგი ოლქების, რაიონების გამოცდილება, კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროსადმი პარტიული ხელმძღვანელობის სრულყოფის, მისი პრაქტიკული უკუგების ამაღლების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ამოცანათა გადაწყვეტას დიდად უნყობს ხელს ბიბლიოთეკებისა და საკლუბო დაწესებულებების ცენტრალიზაცია, სოფლის კულტურის კომპლექსების შექმნა. ეს ქმნის კულტურის კერების, სპორტული ობიექტების მაქსიმალური უკუგებით გამოყენების შესაძლებლობას მათი უნყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად. სამწუხაროდ, ეს დადებითი გამოცდილება ჯერ კიდევ არ არის დანერგილი ჩვენი რესპუბლიკის არცერთ რაიონში, ხოლო პარტიული ორგანოების, შესაბამისი სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები ჯეროვან დაინტერესებასა და ინიციატივას არ იჩენენ მომნიფებული პრობლემების გადაჭრაში. მეტიც, რესპუბლიკის კულტურის სამინისტროსთან შექმნილი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის საუწყებათშორისო საბჭო და ანალოგიური ადგილობრივი საბჭოები პრაქტიკულად უმოქმედოდ არიან. ჯეროვან აქტიურობას არ იჩენენ არც შემოქმედებითი კავშირები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი. როგორც ჩანს, მომწიფდა იმის აუცილებლობა, რომ საქართველოს პროფსაბჭოს ხელმძღვანელობით მოეწყოს რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ყოველწლიური დათვალიერება-კონკურსები, შემდეგ კი კონკრეტულად გაანალიზდეს მათ მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა ხარისხი, იდეური შინაარსი და აქტუალურობა. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივების რეპერტუარების იდეურ-პოლიტიკური და მხატვრული დონის ამაღლების საკითხები.

საბჭოთა ადამიანების ინფორმირების, განათლების დონის სწრაფი ზრდა, ტელევიზიის განვითარება, რომელიც გახდა მოსახლეობის ფართო ფენების ესთეტიკური აღზრდისა და მაღალი მხატვრული გემოვნების ჩამოყალიბების მძლავრი საშუალება, მოითხოვს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ამოცანებისა და ფუნქციების ახლებურად გააზრებას, მუშაობის ისეთი ახალი ფორმების ძიებასა და დანერგვას, რომლებიც დააკონკრეტებენ ადამიანთა თანამედროვე კულტურულ მოთხოვნილებებს.

ზრუნვა საბჭოთა ადამიანის სულიერი და კულტურული ზრდისათვის უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის საქმე, შემოქმედებითი საქმეა, რომელიც ვერ ითმენს ფორმალიზმსა და შაბლონს. მის სწორ წარმართვაზე ბევრად არის დამოკიდებული ადამიანების ზნეობრივ-ფსიქოლოგიური, შრომითი განწყობილება, მათი სოციალურ-ღირებულებითი ორიენტაციების ფორმირება, ჩვენი წარმატებანი სოციალისტური ცხოვრების წესის დამკვიდრებაში.

განსაკუთრებით პასუხსაგები ამოცანები აქვთ დასახული რესპუბლიკის კულტსაგანმანათლებლო დარგის მუშაკებს მიმდინარე წელს. მათ აქტიური როლი უნდა შეასრულონ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის მომზადებასა და დღესასწაულობაში, მშრომელთა ინტერნაციონალური, პატრიოტული აღზრდის სრულყოფის ამოცანათა კომპლექსის გადაწყვეტაში.

როგორც ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა სსრ კავშირის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე აღნიშნა, „შეუპოვრად უნდა ვეძებთ ახალი, დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისი მუშაობის მეთოდები და ფორმები, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემს უფრო ნაყოფიერი გავხადოთ კულტურათა ურთიერთგამდიდრება, ყველა ადამიანს მივცეთ შესაძლებლობა უფრო ფართოდ დაენაფოს ყოველივე საუკეთესოს, რასაც თითოეული ჩვენი ხალხის კულტურა იძლევა“. ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში პარტიის ქმედითი და ინიციატივიანი თანაშემწეები უნდა გახდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები.

თბილისის „ელექტროაპარატის“ საწარმოო გაერთიანების კოლექტივი წარმატებით იხრჩვის მიმდინარე წლის საწარმოო გეგმების შესრულებისათვის. აქ დამზადებული პროდუქციის ძირითად სახეობებს — ელექტროამამუშავებლებს, ელექტროავტომატებს, მაგნიტურ სადგურებს და სახიგნალო არმატურას კარგად იცნობენ ჩვენს ქვეყანაში.

ძირითად პროდუქციასთან ერთად აქ უშვებენ შვიდი დასახელების სახალხო მოხმარების საქონელს, რომლებიც ხუთს საპატიო ხუთკუთხედი ამშვენებს.

სურათზე: ფართო მოხმარების საქონლის საამქროს მოწინავე კომკავშირელი მუშა მ. ზურაბაშვილი.

ჯ. ლომაძის ფოტო.

ტალანტის აღიარება

ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ არ არსებობს იმაზე უფრო დიდი ბედნიერება, ვიდრე მაღალი ხალხის დაფასება და აღიარებაა. ეს ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო აღიარება აქვს მოპოვებული გამოჩენილ საბჭოთა ბალერინას, სსრ კავშირის სახალხო არტისტს, ლენინური პრემიის ლაურეატს მაია პლისეცკაიას. იგი თავის კოლეგებთან — სსრ კავშირის დიდი თეატრის მოცეკვავეებთან — რუსეთის სფს რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტებთან სერგეი რადჩენკოსთან, ბორის ეფიმოვთან და ვიქტორ ბარიკინთან ერთად სოფლისტროლოდ არის ჩამოსული თბილისში.

...თბილისელები დიდი ხანია მოელოდნენ მან შეხვედრას. და აი, მეოთხედი საუკუნის შემდეგ სახელმოხვეჭილი მსახიობი 16 მარტს კვლავ ვიხილეთ თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე.

თუკი არსებობენ ცეკვის რჩეულნი, მაია პლისეცკაია უდავოდ მათ რიცხვს ეკუთვნის, თბილისის სცენაზე იგი ვიხილეთ გუსტავ მალერის „ვარდის ჭკნობასა“ და ბიზე-შჩედრინის „ყარმენ-სიუიტაში“. მოცეკვავემ კვლავ მოხიბლა მაყურებელი უზადო ტექნიკით, ნატიფი პლასტიკით, თავის გმირთა ხასიათის წარმოჩენის სიღრმით და დახვეწილი მოძრაობის სრულქმნილობით. ბალერინას ღირსეულ პარტნიორობას უწევდნენ ბორის ეფიმოვი, სერგი რადჩენკო, ვიქტორ ბარიკინი.

მხურვალე ტაში და წითელი მიხაკები გამოხატულება იყო მაყურებელთა უღრმესი მადლიერებისა საბჭოთა ბალეტის შესანიშნავი ოსტატებისადმი, რომლებმაც დაუვიწყარი წუთები განაცდევინეს ამ საღამოზე მოსულ თბილისელებს.

მაყურებლებმა ნახეს აგრეთვე „ზოპენიანა“ თბილისის ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტებისა და მსახიობების მონაწილეობით.

საღამოს, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა, დაესწრნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გილაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ს. ე. ხაბეიშვილი. (საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტში

ახლა მიწას ერთი პატრონი ჰყავს

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ იწყებს საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროები და საქსახსოფლტექნიკა. მის წინაშე დასახული ამოცანები განიხილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართული რესპუბლიკური თათბირის მონაწილეებმა.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალი შტაბის მუშაობაში მთავარზე, მისი საქმიანობის სხვადასხვა ასპექტზე ილაპარაკეს საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. დ. მგელაძემ, ამ სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილეებმა, საქართველოს სსრ მინისტრებმა დ. ე. სარაშვილმა, გ. ბ. გაფელიამ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. გ. ვარძელაშვილმა, რესპუბლიკის ცხრა რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებათა ხელმძღვანელებმა.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

თათბირზე აღინიშნა, რომ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების პროცესთა მართვის ერთიანი ორგანოს შექმნა თვით ცხოვრებით არის ნაკარნახევი.

1974 წლიდან მოყოლებული, როცა დაიწყო აბაშის ექსპერიმენტი, პრაქტიკას ფასში თავისი შესწორებანი შეაქონდა. დღეს რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება სოფლის მეურნეობის მართვის საყოველთაოდ აღიარებული ეფექტიანი ფორმაა. თუმცა იგი მაინც ვერ არის სრულყოფილი. ჯერ კიდევ თავს იჩენს უწყებრივი დაქსაქსულობა. აი დამახასიათებელი მაგალითი: ზაარშან საგარეჯოს რაიონში მზესუმზირას, თავთავიანი კულტურების, სიმინდის მეტად მცირე ჰექტარობრივი მოსავალი მოიწიეს. ყველა სამუშაო საქსახსოფლტექნიკის რაიონული გაერთიანების მექანიზატორებმა შეასრულეს. თითქოსდა, ესოდენ საკალაო შედეგებისათვის პასუხისმგებლობა სოფლტექნიკას უნდა დაკისრებოდა. მაგრამ სრულიადაც არ მომხდარა ასე. პირიქით, გაერთიანებამ მეურნეობებისაგან მოლიანად მიიღო შესრულებულ სამუშაოთა კომპლექსისათვის ხელმოკრულებით გათვალისწინებული გასამრჯელო.

ასეთი პარადოქსული მაგალითები თათბირზე საკმაოდ მოიყვანეს. აქედან დასკვნა არაორაზროვანი უნდა გამოვიტანოთ: როცა მეურნეობებთან გარკვეული ხელშეკრულებებით მიწის ფართობებს ამუშავებდა, სოფლტექნიკა არ იყო დაინტერესებული საბოლოო შედეგით — მოსავლით. სწორედ ამიტომაც მექანიზებული სამუშაოები ხშირად წარმოდება აგროწესების დარღვევით, დაბალ დონეზე და აქ, ისევე როგორც სხვა უბნებზე, თავს იჩენდა ის ფაქტორი, რომ მიწას ერთი პატრონი არ ჰყავდა.

სასოფლო-სამეურნეო პროფილის სამინისტროებისა და უწყებების ღონისძიებათა გაერთიანება მარტივ და მკაფიო მიზანს ისახავს: მიწას ერთი პატრონი უნდა ჰყავდეს. საკითხის მხოლოდ ასეთი დაყენებით შეიძლება სოფლის მეურნეობის მთელი მართვა შეესაბამებოდეს და ემსახურებოდეს ამ მიზანს. შრომითი, მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსების კონცენტრაციის ამოცანა წარმატებით გადაწყდება მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელობის ერთიანი ორგანოს პირობებში.

ახალი სახელმწიფო კომიტეტი, რომელიც აერთიანებს შრომითს, მატერიალურ, ფინანსურ რესურსებს, მოწოდებულია კიდეც განსაზღვროს მთელი პოლიტიკა სოფლად, ოპერატიულად და ქმედითად გადაწყვიტოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის პრობლემები, მთლიანად აგოს პასუხი სოფლის მეურნეობაში საქმის ვითარებისათვის.

სახელმწიფო კომიტეტის შექმნასთან ერთად შესაძლებელი გახდა მთლიანად აღმოვფხვრათ უწყებრივი დაბრკოლებანი, ზედმეტი მადუღარებელი რგოლები, უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ ფონდები და ადამიანთა რესურსები, მნიშვნელოვნად შევამსუბუქოთ პარტიის რაიკომებისა და რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების საქმიანობა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მრავალი მიმდინარე საკითხის გადაწყვეტის დროს.

თათბირზე აღინიშნა, რომ სოფლის მეურნეობის მართვის სრულყოფის კურსი, რომელიც რესპუბლიკაშია აღებული, მოლიანად და სავსებით შეესაბამება სასოფლო-სამეურნეო წარმოებისადმი თანამედროვე ეტაპზე წაყენებულ მოთხოვნებს. მართვის ორგანოების კონცენტრაცია ხელშემწყობ პირობებს ქმნის, რათა განვითარდეს საწარმოო ძალები, დარგი გადავიდეს სამრეწველო საფუძველზე და მოხდეს მისი ინტენსიფიკაცია. ამასთან ღღეს, როცა სოფლად მეურნეობრობის ახალი ეტაპი იწყება, საჭიროა ყოველსაარად გავაძლიეროთ პარტიული გავლენა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის ყველა რგოლზე.

თანამედროვე პირობებში უაღრესად საჭიროა ადგილებზე მოვაგროთ ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების სისტემა, რათა უფრო ოპერატიულ რეაგირებას ვახდენდეთ ამა თუ იმ მოვლენაზე. უნდა მივაღწიოთ აგრეთვე ბმას, რომ ყოველი დონის თითოეული ხელმძღვანელი ჩასწვდეს სიახლის მთელ არსს, სწორად შეაფასოს მისი უპირატესობანი და გამოიყენოს ისინი სასოფლო-სამეურნეო წარმოების კვალიფიციური მართვისათვის.

სოფლის მეურნეობის მართვის ორგანოების ცენტრალიზაცია ფართო შესაძლებლობებს სახავს, რათა უფრო სრულად გამოვიყენოთ არსებული რეზერვები, წარმატებით შევასრულოთ სასურსათო პროგრამა.

ხელმძღვანელობის ახალი ორგანოს უპირატესობა ისიც არის, რომ ამიერიდან მეურნეობრობის პროგრესული მეთოდები, მაგალითად, ბრიგადული იჯარა უფრო სწრაფად დაინერგება პრაქტიკაში. მატერიალური, შრომითი, სხვა რესურსების კონცენტრაცია შესაძლებლობას მოგვცემს ოპერატიულად გადავწყვიტოთ სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების რაციონალური გამოყენების პრობლემები.

მიწათმოქმედს, მექანიზატორს, მელიორატორს ახლა ერთი საზრუნავი აერთიანებთ. იგი მათ უკარნახებს ამოცანას: გაზარდონ მარცვლეულის, ბოსტნეულის, კარტოფილის, ხილის, სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის მთლიანი მოსავალი. მელიორირებულ მიწებზე, სადაც დღეიდან მოსავალი ჯერ კიდევ მცირეა.

სახელმწიფო კომიტეტმა უფრო მჭიდროდ უნდა დააკავშიროს ერთმანეთთან სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და დამზადების ყველა მონაწილის ინტერესები, უფრო მეტად იზრუნოს მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევისათვის. მართვის გარდაქმნა ახალ ამოცანებს უსახავს აგრეთვე პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებს, აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოთა ყველა მუშაკს. თითოეულმა უნდა შეიგნოს: საქმის მხოლოდ წიგნიერი, ყაირათიანი გაძღოლა მოგვცემს უკუგებას სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალიზებული ფონდების სახსრებისაგან, რომლებიც ეკონომიკის განვითარებას ხმარდება, უზრუნველყოფს მის ზრდას.

სახელმწიფო კომიტეტის ყველა სამსახური მოვალეა ახლა მთელი ყოველდღეს მიაპყროს უპირველეს ამოცანებს. ეს, უწინარეს ყოვლისა, არის საგაზაფხულო თესვის კამპანიის ორგანიზებული დამთავრება, პირუტყვის სანიმუშო გამოზამთრება, საშემოდგომო ნათესების საგულდაგულო მოვლის უზრუნველყოფა.

სოფლის მეურნეობის, რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა დარგების მუშაკები, გამოითქვა რწმენა თათბირზე, მართვის სრულყოფის საფუძველზე მიაღწევენ ახალ წარმატებებს, კიდევ უფრო გაზრდიან სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებას.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ღ. ლ. ზაქაიძე და გ. ს. მამაცაშვილი.

(საქინფორმი).

მივაღწიოთ გარდატეხას მშენებლობაში

რა კეთდება რესპუბლიკაში „საცხოვრებელი სახლებისა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის გეგმების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელებისათვის? რა ხარვეზები დაუშვეს გეგმების რეალიზაციაში, სამინისტროებმა, საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის ხარისხის ამაღლებაში, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების დაპროექტებასა და განაშენიანებაში? რა ღონისძიებები უნდა განხორციელდეს საცხოვრებელი სახლების, კომუნალური და სოციალური ობიექტების დაგეგმილი მოცულობით საექსპლოატაციოდ გადაცემის უზრუნველსაყოფად? — ეს საკითხები იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართული თათბირის ყურადღების ცენტრში.

აღინიშნა, რომ 1983 წელს გათვალისწინებულია საექსპლოატაციოდ გადაეცეს სახელმწიფოს, საბინაო კოოპერაციისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხარჯზე აშენებული 1091,9 ათასი კვადრატული მეტრი სასარგებლო საცხოვრებელი ფართობი, მათ შორის პირველ კვარტალში — 94,2 ათასი კვადრატული მეტრი. ფაქტობრივად კი იანვარსა და თებერვალში საექსპლოატაციოდ არც ერთი სახლი არ გადაუცია. აი იგრძნობა გარდატეხა არც სკოლებს, პროფტექნიკური სასწავლებლის და სამედიცინო დაწესებულებების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა.

ჯერ კიდევ არ მომხდარა გარდატეხა საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა მუშაობაში. მშენებლებს, მემონტაჟეებს აკლებენ ცემენტს, ლითონს, ხე-ტყეს, ინერტულ მასალებს. საკმარისია ითქვას, რომ იანვარ-თებერვალში მათ დააკლეს 38 ათასი ტონა ცემენტი.

თათბირზე მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო საექსპლოატაციოდ გადასაცემი ობიექტების, განსაკუთრებით ბინების ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს. „ფრიადი“ შეფასება, რომელსაც ცალკეული სახლები იღებენ, სადავოა. ყველა ამ „ფრიადზე“ აგებულ სახლებს შემდეგ ახალმოსახლეები ჩვეულებრივ ზელალა აკეთებენ ხოლმე, რადგან თავს იჩენს ათობით დეფექტი და ხარვეზი.

ლოზუნგი „ვაშენოთ სწრაფად და ხარისხიანად“ კონკრეტულ საქმედ უნდა ვაქციოთ, აღინიშნა თათბირზე. უნდა გავზარდოთ სოციალისტური შჯობრების ქმედითობა. მაგრამ მის ორგანიზაციაში ბევრი ფორმალიზმია. დავალებების ვადამდე შესრულების ვალდებულებათა „გადასაღები ქაღალდით“ მომზადების მეთოდი ჯერ აღმოფხვრილი არ არის ბევრ სამშენებლო ტრესტში, სამმართველოში.

გაზრდილ მოთხოვნებს არ შეესაბამება არც ბრიგადული იჯარის დანერგვა. ბევრი ბ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

15 მარტს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ვ. ვ. კუზნეცოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მორიგი სხდომა.

პრეზიდიუმმა მოისმინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ჰ. ა. ალიევის მოხსენება 1983 წლის გეგმისა და ბიუჯეტის განხილვის დროს სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიაზე შეტანილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების მუდმივ კომისიათა და დეპუტატთა წინადადებებისა და შენიშვნების განხილვის შედეგების შესახებ. მოხსენებაში აღინიშნა, რომ სსრ კავშირის მთავრობა, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ანარიციელებენ საჭირო ღონისძიებებს მუდმივ კომისიათა და დეპუტატთა წინადადებებისა და შენიშვნების რეალიზაციისათვის. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პარტიის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ისეთი საკვანძო პრობლემების გადაწყვეტას, როგორიცაა საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაცია, სახალხო მეურნეობის კომპლექსური განვითარება, კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლება, ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესება, წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცება, სამეურნეო ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების სრულყოფა.

სხდომაზე ყურადღება დაეთმო იმას, რომ მთელ რიგ სამინისტროებსა და უწყებებში ჯერ კიდევ ნელა მუშაობენ მუდმივ კომისიათა და დეპუტატთა წინადადებებისა და შენიშვნების რეალიზაციისათვის. სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში მართვის ზოგიერთი ორგანოს მიერ წარმოდგენილ მასალებს ზოგადი, არაკონკრეტული ხასიათი აქვს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიღებულ დადგენილებში აღნიშნა რა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ გაწეული მუშაობა, სსრ კავშირის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაავალა პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა საფუძველზე უზრუნველყონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების მუდმივ კომისიათა და დეპუტატთა მიერ შემოტანილი წინადადებებისა და შენიშვნების რეალიზაციისათვის შემუშავებულ ღონისძიებათა დროული განხორციელება.

შემდეგ განიხილეს საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობენ უკრაინის სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოები ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობისადმი კონტროლისათვის. უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ა. თ. ვატჩენკოს ცნობაში დაწვრილებით იყო გაანალიზებული რესპუბლიკის საბჭოების მუშაობა სახელმწიფო სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობისათვის, ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობისადმი კონტროლის ეფექტიანობის ამაღლებისათვის, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. აბორიგენებენ რა თავიანთ კონსტიტუციურ უფლებამოსილებას, საბჭოები პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით ეწევიან დიდ ორგანოზატორულ და კულტურულ-აღმზრდელობით მუშაობას, რათა პრაქტიკულად განხორციელდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კურსი, რომლის მიზანია კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარება, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფა, სასურსათო პროგრამის რეალიზაცია, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდება, საცხოვრებელი ბინებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის გაუმჯობესება, დისციპლინის, კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცება.

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებზე, მისი პრეზიდიუმის სხდომებზე სისტემატურად იხილავენ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების მოხსენებებსა ინფორმაციებს. ადგილობრივი საბჭოები უფრო რეგულარულად იხილავენ აღმასრულებელი კომიტეტების, მათი განყოფილებების, სამმართველოების, საქვეუწყებო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ანგარიშებს, მიღებული გადაწყვეტილებების, ამომრჩეველთა განაწესების რეალიზაციის საკითხებს. გააქტიურდა საბჭოების ყველა რგოლის მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფებისა და საგუშაგოების, საზოგადოებრივი თვითმოქმედი ორგანოების საკონტროლო საქმიანობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა სახელით, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით ეცნობოდნენ ანგარიშვალდებული ორგანოებისადმი კონტროლისათვის უკრაინის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის პრაქტიკას, სხდომაზე გამოვიდა ლვოვის ოლქის კოლმეურნეობა „უკრაინის“ თავმჯდომარე ნ. ი. ბურლაკი. მან ილაპარაკა ლვოვისა და ვოლინის ოლქების საბჭოების საკონტროლო საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების, სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში სოფლის მშრომელთა მონაწილეობის შესახებ.

ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ე. პოლიკოვისა და უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ბ. უსმანხოჯაევის გამოსვლებში აღინიშნა, თუ რა გამოცდილება შეიძინეს ბელორუსიისა და უზბეკეთის საბჭოებმა ანგარიშვალდებული ორგანოებისადმი კონტროლისათვის მუშაობაში.

სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ იმ დიდი მუშაობის კალაპოტში, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტი აჩაღებს დისციპლინის განმტკიცებისათვის, წესრიგის დამყარებისათვის ყველა უბანზე, ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობისადმი საბჭოების კონტროლი წარმოებაზე, მართვაზე, მომსახურების სფეროზე, ცხოვრების სხვა მხარეზე ზემოქმედების ეფექტიანი საშუალებაა. ამიტომ საჭიროა, რომ სახალხო დეპუტატთა საბჭოების, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების მუშაობაში თანამიმდევრულად მკვიდრდებოდეს ნამდვილად ლენინური სტილი, რომლის შემადგენელი ნაწილია შესრულების კონტროლი და შემოწმება.

დადებითად შეაფასა რა უკრაინის სსრ საბჭოების მუშაობა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამავე დროს აღნიშნა, რომ რესპუბლიკის საბჭოები ჯერ კიდევ მთლიანად ვერ იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს. ადგილობრივი საბჭოების სესიებზე აღმასრულებელი კომიტეტებისა და მუდმივი კომისიების სხდომებზე საკითხების განხილვას ხშირად აქვს ზოგადი ხასიათი, რაც ჯერჯვნად ვერ უწყობს ხელს ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებას წარმოებისა და მართვის ყველა რგოლში.

პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განსაზღვრა ანგარიშვალდებული ორგანოების, აგრეთვე საქვეუწყებო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობისადმი საბჭოების კონტროლის შემდგომი ამაღლების, მისი ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1983 წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმების წარმატებული შესრულებისათვის ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების ღონისძიებანი.

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, რესპუბლიკის ადგილობრივ საბჭოებს რეკომენდაცია მიეცათ უფრო სრულად შეასახონ ხორცი კონსტიტუციურ დებულებებს საქმიანობის ძირითად საკითხებზე აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების მიერ საბჭოების წინაშე რეგულარული ანგარიშგების შესახებ; უფრო აქტიურად ჩაბან მშრომელები სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში, სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირთა საქმიანობისადმი კონტროლის განხორციელებაში; უფრო სრულად გაითვალისწინონ თავიანთ მუშაობაში საზოგადოებრივი აზრი, მოქალაქეთა წინადადებანი, რომლებსაც მათი წერილები და მიმართვები შეიცავენ; უფრო მომთხოვნელად და ღრმად გააანალიზონ ქვემდგომი საბჭოების საქმიანობა, გაუწიონ მათ ყოველმხრივი დახმარება მუშაობაში.

დასახულია ამოცანა უფრო მტკიცედ იბრძოლონ სახელმწიფო და შრომის დისციპლინის, მორალის ნორმების, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევების წინააღმდეგ; გაძლიერონ კონტროლი სოციალისტური კანონიერების, მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების უზრუნველყოფისადმი; სრულყონ საბჭოთა ორგანოების მუშაკების და სამეურნეო ხელმძღვანელების სამართლებრივი მომზადება; გაიუმჯობესონ ყველა იმ ორგანოს მუშაობის კოორდინაცია, რომლებიც საკონტროლო ფუნქციებს ახორციელებენ, მიაღწონ პარალელიზმისა და დუბლირების აღმოფხვრას შემოწმებების მოწყობაში, განამტკიცონ მუდმივი კომისიების, სახალხო კონტროლის ორგანოების, სამართალდაცვითი ორგანოების, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ურთიერთმოქმედება; მეტი ყურადღება დაუთმონ ანგარიშვალდებული ორგანოების მუშაობისადმი კონტროლისათვის საბჭოების მუშაობის გამოცდილების შესწავლას, განზოგადებასა და გავრცელებას, მისი ფართო სიყალნობის უზრუნველყოფას. ამ მიზნით უფრო სრულად გამოიყენონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობისადმი საბჭოების კონტროლის შემდგომი ამაღლების, მისი ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1983 წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმების წარმატებული შესრულებისათვის ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების ღონისძიებანი.

შემდეგ პრეზიდიუმმა განიხილა და მიიღო დადგენილება საცხოვრებელი სახლებისა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის გეგმების შესრულების უზრუნველყოფის საქმეში სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ. დადგენილებაში ყურადღება აქვს მიპყრობილი „საცხოვრებელი სახლებისა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის გეგმების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების რეალიზაციისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების, მათი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების, მუდმივი კომისიებისა და დეპუტატების მუშაობის ძირითად მიმართულებებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სახალხო დეპუტატთა საბჭოებს და მათდამი ანგარიშვალდებულ საანგარიშო ორგანოებს წინადადება მისცა შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია უზრუნველყონ 1983 წლისა და მეთერთმეტე ხუთწლედისათვის დაგეგმილი მოცულობით საცხოვრებელი სახლების, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და სოციალურ-კულტურული ობიექტების ამოქმედება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრონ მშენებლობას სოფლად, და უწინარეს ყოვლისა რუსეთის სფსრ არაავტონომიურ ნაიადგან ზონაში, აგრეთვე ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ტაიგაში; განახორციელონ კაპიტალდაბანდებათა უფრო ეფექტიანი გამოყენების, სახანო მშენებლობის რაციონალური სტრუქტურის დაცვის ღონისძიებანი, ამასთან არ დაუშვან იმ ძვირადღირებული ობიექტების გაუმართლებელი მშენებლობა, რომლებიც არ არის პირველი საჭიროების ობიექტები; შეუნელებელი კონტროლი დაუწესონ სახანო-სამოქალაქო დანიშნულების მშენებლობათა შეუფერხებელ უზრუნველყოფას მატერიალური რესურსებით, აგრეთვე მათ მომჭირნედ ხარჯვას; გააქტიურონ მუშაობა ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების კომპლექსური განაშენიანების, ობიექტების ამოქმედების რიტმულობის უზრუნველყოფისათვის.

სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა, მათმა აღმასრულებელმა და განმკარგულებელმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ახალი სამრეწველო საწარმოების მშენებლობისას და მოქმედთა რეკონსტრუქციისას მკაცრად სრულდებოდეს დადგენილ ვადებში როგორც საწარმოო სამძლავრეების, ისე არასაწარმოო სფეროს ობიექტების ამოქმედების დავალებები; გაძლიერონ კონტროლი სამუშაოების, განსაკუთრებით მოპირკეთების სამუშაოების ხარისხისადმი, გადაჭრით აღკვეთონ სახანო-სამოქალაქო დანიშნულების ობიექტების საექსპლოატაციოდ მიღების წესების დარღვევა, ამავალნენ იმ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა, რომლებიც ურიგდებიან ისეთი ობიექტების მიღებას, სადაც დაშვებულია არსებითი ხარვეზები და დარღვეულია დამტკიცებული პროექტები, ამასთან კეთილმოწყობილი არ არის მიმდებარე ტერიტორიები; განახორციელონ სამშენებლო ორგანიზაციების კადრებით განმტკიცების, სახანო-სამოქალაქო მშენებლობაზე დასაქმებული მუშების შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ღონისძიებანი; ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სახანო-სამშენებლო კოოპერაციის განვითარებას, ინდივიდუალური სახანო მშენებლობის გაფართოებას, განსაკუთრებით სოფლად, სესხითა და მასალებით დაეხმარონ მენაშენეებს.

სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა უნდა უზრუნველყონ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის თანამიმდევრული დაცვა იმ მოქალაქეთა აღრიცხვაზე აყვანისას, რომლებსაც სჭირდებათ სახანო პირობების გაუმჯობესება, ბინების სამართლიანი განაწილება ფართო საჯარობისა და ამ საკითხთა გადაწყვეტაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის საფუძველზე; გააძლიერონ მუშაობა სახანო-საექსპლოატაციო და სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციების საწარმოო და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, სახანო ფონდის შეკეთებისა და განახლების ინდუსტრიული მეთოდების უფრო ფართოდ დანერგვისათვის; რეგულარულად განიხილონ მშენებლობის საკითხები საბჭოების სესიებზე, აღმასრულებელი კომიტეტებისა და მუდმივი კომისიების სხდომებზე, აამაღლონ მიღებულ გადაწყვეტილებათა ქმედითობა, თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა მშენებლობის გეგმების შესრულებისათვის. ყოველმხრივ შეუწყონ ხელი საცხოვრებელი სახლებისა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების საექსპლოატაციოდ დროულად და ვადამდე გადაცემისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებას, მშენებლობის პროგრესული მეთოდებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვას; გააქტიურონ სამშენებლო ობიექტებზე დეპუტატთა საგუშაგოების მუშობა, ამასთან ფართოდ ითანამშრომლონ ამ საქმეში სახალხო კონტროლის ორგანოებთან.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ განახორციელონ იმ მუშაობის დამთავრების უზრუნველყოფის ღონისძიებანი, რომლის მიზანია შეიქმნას ქალაქებში საცხოვრებელი სახლების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და კომუნალური მეურნეობის ობიექტების იჯარის წესით მშენებლობის ერთიანი შემკვეთის სამსახურები, აგრეთვე საუწყებო სახანო ფონდი თანდათან გადაეცეს ადგილობრივ სახალხო დეპუტატთა საბჭოებს. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიეცა წინადადება გააძლიეროს კონტროლი ამ საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა და მიიღო ბრძანებულებანი „საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ“ და „მსჯავრდებულებზე შრომა-გასწორების ღონისძიებებთან დაუკავშირებელი სისხლისსამართლებრივი სასჯელის აღსრულების წესისა და პირობების დებულების დამტკიცების შესახებ“. ამ საკითხზე ინფორმაცია გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა თ. ნ. მენთეშაშვილმა.

სხდომაზე განიხილეს სახელმწიფო ცხოვრების ზოგიერთი სხვა საკითხი.

დღის წესრიგის საკითხთა განხილვაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი გ. ვ. რომანოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი შ. რ. რაშიდოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები და წევრები, სსრ კავშირის მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები. (საკდესი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოში

სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების შეჯიბრების შედეგები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ შეაჯამეს სახალხო დეპუტატთა სასოფლო, სადაბო და საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების) საბჭოების აღმასკომების სოციალისტური შეჯიბრების 1982 წლის შედეგები. ამის თაობაზე მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები, რომლებიც ხელმძღვანელობენ სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, აქტიურად ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ახალ წარმატებებს მიაღწიეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების, ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში, დასახლებული პუნქტებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობის გაუმჯობესებაში, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებაში.

1982 წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი შედეგების მიღწევისათვის პირველი ადგილები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები და პირველი ფულადი პრემიები მიენიჭათ შემდეგი საბჭოების აღმასკომებს:

მახარაძის რაიონის ლაითურის სახალხო დეპუტატთა სადაბო საბჭო (თავმჯდომარე ამხ. გოგოჩაშვილი), ბოლნისის რაიონის სარაჩლოს სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭო (თავმჯდომარე ამხ. მეხრაბოვი), ლენინის რაიონის ლენინების სახალხო დეპუტატთა სადაბო საბჭო (თავმჯდომარე ამხ. ლიპარტელიანი), ჩხოროწყუს რაიონის ნაფიჩხოვოს სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭო (თავმჯდომარე ამხ. ფიჩხაია), ამბროლაურის რაიონის ბუგეულის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭო (თავმჯდომარე ამხ. სოხაძე).

მეორე ადგილები და მეორე ფულადი პრემიები მიენიჭათ შემდეგი საბჭოებიც აღმასკომებს: წყალტუბოს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს რიონის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭო (თავმჯდომარე ამხ. სიხარულიძე), გორის რაიონის სკრის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭო (თავმჯდომარე ამხ. ქერდუკაშვილი), ტყიბულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს კურსების სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭო (თავმჯდომარე ამხ. ჭირაქაძე).

მესამე ადგილები და მესამე ფულადი პრემიები მიენიჭათ შემდეგი საბჭოების აღმასკომებს: ყვარლის რაიონის მთისძირის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭო (თავმჯდომარე ამხ. მაზმიშვილი), ასპინძის რაიონის ძველის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭო (თავმჯდომარე ამხ. ზედგინიძე), ცაგერის რაიონის ლასტოროაშის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭო (თავმჯდომარე ამხ. ახვლედიანი).

პირველი ადგილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიენიჭა ონის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს (თავმჯდომარე ამხ. ნოდარიშვილი).

ცნობად მიიღეს, რომ შეჯამებულია სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და გამარჯვებულებად ცნეს აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში — გუდაუთის რაიონის ლიხნის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომი (თავმჯდომარე ამხ. კამკია) და გალის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი (თავმჯდომარე ამხ. აკიშბაია), აჭარის ასს რესპუბლიკაში — ქობულეთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი (თავმჯდომარე ამხ. ბეჟანიძე) და ქედის რაიონის ცხმორისის სახალხო დეპუტ ა ტ თ ა სასოფლო საბჭო (თავმჯდომარე ამხ. ბოლქვაძე), სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — ლენინგორის სახალხო დეპუტატთა სადაბო საბჭოს აღმასკომი (თავმჯდომარე ამხ. სოკოროვი) და ცხინვალის რაიონის ბერულის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომი (თავმჯდომარე ამხ. ცოტნაშვილი).

აღინიშნა, რომ კარგად იმუშავეს ნოჯიხევის (ხობის რაიონი), ობუჯის (წალენჯიხის რაიონი), ნაესაკაოს (აბაშის რაიონი), თელეთის (გარდაბნის რაიონი), არაკეის (ახალქალაქის რაიონი), შამგონის (ზუგდიდის რაიონი), უმაფათის (ცხაკაის რაიონი) სახალხო დეპუტატთა სასოფლო, ენინგალის (დუშეთის რაიონი), კაზრეთის (ბოლნისის რაიონი) და მესტიის (მესტიის რაიონი) სახალხო დეპუტატთა სადაბო, ქარელის (ქარელის რაიონი), მარნეულის (მარნეულის რაიონი) სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ ამასთან აღნიშნეს, რომ სახალხო დეპუტატთა სასოფლო, სადაბო, საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების) საბჭოების აღმასკომების სოციალისტური შეჯიბრება ყველგან სათანადო დონეზე როდი იყო ორგანიზებული, რის შედეგადაც კასპის, ლაგოდეხის, სიღნაღის, წითელწყაროს, თელავის, თიანეთის, საჩხერის, ჩოხატაურისა და სხვა რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა ადგილობრივ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებად ცნეს სასოფლო საბჭოები, რომლებსაც საგგგმო დავალებებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების დაბალი მაჩვენებლები ჰქონდათ.

დამტკიცებულია სახალხო დეპუტატთა სასოფლო, სადაბო და საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების) საბჭოების აღმასკომების სოციალისტური შეჯიბრების ახალი პირობები, რომელიც ეწყობა დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისა და სოფლის მოსახლეობის მომსახურების დონის ამაღლებისათვის, დისციპლინისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს დაევალათ უფრო ფართოდ გაშალონ სახალხო დეპუტატთა სასოფლო, სადაბო და საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების) საბჭოების აღმასკომების სოციალისტური შეჯიბრება მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დონის ამაღლებისათვის დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის გაუმჯობესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

სოფლის კლუბი ყურადღებას მოითხოვს

სოფლის ბიბლიოთეკა, კლუბი, კულტურის სახლი... მოსახლეობის კომუნისტური აღზრდის ამ კერების მუშაობის სრულყოფასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა საკითხი აღიძრა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივი კომისიის მორიგ სხდომაზე. განხილვა იმისა, თუ როგორ აბორიგენებენ ვანისა და ლაგოდეხის რაიონების სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოები კანონით გათვალისწინებულ სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაუჯობესების უფლებამოსილებას სკკპ XXVI ყრილობის მოთხოვნების შესაბამისად, გადაიქცა საქმიან, პრინციპულ სჯა-ბაასად რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობის კულტურული მომსახურების მთელი სისტემისათვის დამახასიათებელი პრობლემების ფართო სპექტრის შესახებ.

ორი მთავარი განსაკუთრებით საჭირობოროტია. ეს არის კადრების პრობლემა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის პრობლემა, რომლებმაც განსაზღვრა კიდეც გამართული სჯა-ბაასის მიმართულება. მაგალითად, როგორც ვანის, ისე ლაგოდეხის რაიონებში, თითქოს, ცოტა როდია ამ დაწესებულებათა მუშაკები — კომუნისტები, კომკავშირელები, დეპუტატები, რომლებსაც აქვთ დაუმთავრებელი უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება. მაგრამ, როგორც სხდომაზე აღინიშნა, მათი პროფესიული მომზადების დონე ხშირად გაუმჯობესებას მოითხოვს, მათი საქმიანობა, მუშაობის ფორმები და მეთოდები, მისი შინაარსი ყოველთვის როდი აკმაყოფილებს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს. სასოფლო საბჭოები კი კონკრეტულ ღონისძიებებს არ აბორიგენებენ შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად. მათს უმრავლესობას ბოლო ორ წელიწადში არც ერთხელ არ განუხილავს სესიებზე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის საკითხები.

სასოფლო საბჭოები საათანადოდ არ ზრუნავენ მათს განკარგულებაში არსებული სოციალურ-კულტურული ფონდების, ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენებისათვის. ამის შედეგად ვანისა და ლაგოდეხის რაიონების სოფლებში ბევრი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება განლაგებულია არადამაკმაყოფილებელ შენობებში ან კერძო ბინებში. მათი ამსოლუტური უმრავლესობა არ თბება. არ კმარა აგრეთვე შესაბამისი მოწყობილობა, ინვენტარი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა, მუსიკალური ინსტრუმენტები, ვიდეოჩანაწერები.

სახალხო დეპუტატთა ორივე რაიონული საბჭოს აღმასკომებს კომისიამ ურჩია განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი თავიანთ ტერიტორიებზე პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ყოველმხრივი გაუმჯობესებისათვის. მათ უნდა უზრუნველყონ ის, რომ სასოფლო საბჭოებმა და მათმა აღმასკომებმა შეისწავლონ მათი საუწყებო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობა, განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიება მისი სრულყოფისათვის.

კომისიის სხდომის შედეგები შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ დეპუტატმა ნ. შ. ვასაძემ.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ვ. ლაშქარაშვილი. (საქინფორმი).

სრულყოთ ჰარგნიორთა ურთიერთობა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა კომისიის მორიგ სხდომაზე განიხილეს იმ დავალებათა შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც სსრ კავშირის სასურსათო პროგრამით არის გათვალისწინებული ხილბოსტნეულის პროდუქციის წარმოების გადიდებისა და სახორცე მესაქონლეობის განვითარებისათვის.

სსრ კავშირის შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს დავალათ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად გაითვალისწინონ კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელება, რომელთა მეოხებით შესაძლებელი გახდება უკვე 1983 და 1984 წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს მოსახლეობის მომარაგება ფართო ასორტიმენტის ბოსტნეულით, ხილითა და კენკრით, აგრეთვე მკვეთრად შემცირდეს პროდუქციის დანაკარგები მისი წარმოების, ტრანსპორტირების, შენახვისა და გადამუშავების ყველა რგოლში. ყურადღება მიეპყრო ჯოგის რეპროდუქციის შემდგომ გაუმჯობესებას, პირუტყვის სუქების ინტენსიფიკაციას, სახორცედ ჩაბარებული პირუტყვის წონითი კონდიციების გადიდებას, ძროხის ხორცის წარმოებაში საკვების სტრუქტურის ძირეულ შეცვლას საძოვრული, უხეში, წვნიანი საკვებისა და კვების მრეწველობის ნარჩენების უპარატესი გამოყენებით.

მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის „კ-700“ - ტიპის ტრაქტორების მომზადების უმოკლეს ვადაში დამთავრების მიზნით სსრ კავშირის „საკასხსოფლტექნიკას“, საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროსა და სხვა დაინტერესებულ უწყება-სამინისტროებს მიეცათ მითითებანი განახორციელონ ღონისძიებანი მეურნეობათა უზრუნველსაყოფად, ნაკლული სათადარიგო ნაწილებით.

კომისიამ აღნიშნა, რომ საჭიროა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე ზოგადი სარგებლობის ტრანსპორტის საწარმოებში დროულად განხორციელდეს ღონისძიებანი, რათა სატვირთო ავტომობილები და სხვა სატრანსპორტო საშუალებები მოამზადონ მოსავლის აღების პერიოდში სასოფლო-სამეურნეო ტვირთის მასობრივი გადაზიდვისათვის. სსრ კავშირის სახმომარაგებას, საავტომობილო მრეწველობის სამინისტროსა და სსრ

16 მარტი

უკანასკნელი

ფაქტები
მოვლენები
საკვლევი
იუწყება

● საბჭოთა კავშირ — სირია

მეგობრობის ზეიმი

დამასკო. საბჭოთა კავშირისა და სირიის ნაყოფიერი თანამშრომლობის დიდმნიშვნელოვანი შედეგი გახდა დამასკო-ჰომსის რკინიგზის ხაზის საექსპლოატაციოდ გადაცემა. მისი საზეიმო გახსნა საბჭოთა კავშირ-სირიის მეგობრობის ნამდვილი ზეიმი გახდა.

დროშებითა და ტრანსპარანტებით მორთულ დამასკოს საცივრთო სადგურში შეიკრიბნენ სირიის არაბთა რესპუბლიკის ხელმძღვანელები, ქვეყნის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მუშები და გლეხები. გახსნის საზეიმო ცერემონიაზე გამოსვლისას სირიის პრეზიდენტმა ჰ. ასადმა მადლობა გადაუხადა საბჭოთა სპეციალისტებს სირიის ეროვნული ეკონომიკის განმტკიცებისა და განვითარების საქმეში ხელშეწყობისათვის. სსრ კავშირისა და სირიის არაბთა რესპუბლიკის რკინიგზელებმა, თქვა მან, დიდი წვლილი შეიტანეს ორი სახელმწიფოსა და ხალხების მეგობრობისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განმტკიცებაში.

უკან დარჩა საბჭოთა და სირიელი ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მუშების სამი წლის დაძაბული შრომა. ძნელ პირობებში მათ გაიყვანეს 208 კილომეტრი ლიანდაგი, ააშენეს ათობით ხიდი და სხვა რთული საინჟინრო ნაგებობა.

ახალი რკინიგზის ექსპლოატაციის პირველივე დღეს დამასკოში ჩამოვიდა რამდენიმე სატვირთო შემადგენლობა. მათ დედაქალაქში ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ჩამოიტანეს ხორბალი, ქალაქ ალეპოდან — ცემენტი, ტარტუსის ნავსადგურიდან — ნაგლინი და საარმატურო რკინა.

საბჭოთა კავშირ-სირიის თანამშრომლობის წლების მანძილზე, ხაზი გაუსვა მან, გაყვანილია 2 ათას კილომეტრზე მეტი რკინიგზა.

● ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲘ

რომი. იტალიაში ახალი საფინანსო-პოლიტიკური სკანდალი მოხდა. რომის პროკურატურამ მაგისტრატურის უმაღლესი სხბჭოს — ქვეყნის მთავარი სახამართლო ორგანოს — წევრთა დიდი უმრავლესობის წინააღმდეგ წამოაყენა ბრალდება პირადი მიზნით სახელმწიფო სახსრების დაცემებისა და გაფლანგვის გამო. საგამომძიებლო ორგანოებმა დაიწყეს მათი ხარჯების გამოძიება. როგორც პრესა იუწყება, მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს ყველა წევრი დიდძალ თანხას ხარჯავდა საწარმომადგენლო საჭიროებებისათვის, აგრეთვე გართობისათვის. საბოლოო ანგარიშით, როგორც გამოძიება ფიქრობს, სახელმწიფო ხაზინიდან ამგვარად დატაცებული იქნა ასობით მილიონი ლირა.

მხილებას საფუძვლად დაედო ერთი დეპუტატის გამოსვლა, რომელმაც ყურადღება მიაქცია იმ ალმაშფოთებელ ფუფუნებას, რის უფლებასაც თავისთავს აძლევდნენ მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს წევრები.

● თურქეთი

ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲡᲢᲗᲐ ᲒᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲐ

სტამბოლი. სტამბოლის საჯამართლოში დაიწყო ულტრამემარჯვენე ტერორისტთა ჯგუფის გასამართლება, რომლებიც აკრძალული ნეოფაშისტური პარტიის — ნაციონალისტური მოძრაობის მფარველობით მოქმედებდნენ. როგორც ანატოლიის საგენტო იუწყება, სამხედრო პროკურორი მოითხოვს თოთხმეტ კაცს მიუსაჯონ სიკვდილი, ხოლო ორს — პატიმრობა. მათ ბრალად ედებათ, კერძოდ, ამბოხების ორგანიზაციისა და „ქვეყანაში ფაშისტური დიქტატურის დამყარების“ ცდა. 70-იანი წლების დასასრულს ამ მოფაშისტო არამზადების მსგავსები „ᲐᲠᲐᲜᲐᲠᲘᲡᲢᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲠᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲒᲐᲜᲐᲠᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ

● ᲜᲘᲙᲐᲠᲐᲒᲣᲐ

ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲬᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ

მანაგუა. ზუსტად ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ნიკარაგუელი ხალხი საგანგებო წესების პირობებში ცხოვრობს. სანდინისტური მთავრობა იძულებული გახდა განეზორციელებინა ეს ღონისძიება ნიკარაგუის წინააღმდეგ ვაშინგტონის მზადების საპასუხოდ.

ნიკარაგუის ეროვნული აღორძინების მთავრობის მიერ ერთი წლის წინათ სახელმწიფო წყობილების, საზოგადოებრივი წესრიგისა და რესპუბლიკის უშიშროების დაცვისათვის განხორციელებულ ღონისძიებებს თავისი აქტუალობა არ დაუკარგავთ. ახლაც გრძელდება ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ გაწვრთნილი და შეიარაღებული კონტრრევოლუციური ნაძირალების გამოხდომები. ნიკარაგუის საპაერო სივრცეს გამუდმებით არღვევენ ჯაშუში თვითმფრინავები. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხომალდები მიმოდიან ფონსეკის ყურეში, რესპუბლიკის ნაპირებთან იწვევენ საშიშ ინციდენტებს, საფრთხეს უქმნიან მის სუვერენიტეტს. ნიკარაგუის საზღვრებს ძახლობლად ეწყობა ამერიკა-ჰონდურასის ერთობლივი მანევრები — ამუშავებენ სანდინოს სამშობლოში შეჭრის ტაქტიკას.

განვლილ პერიოდში ნიკარაგუის მთავრობა მრავალჯერ გამოსულა ინიციატივებით ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის. მაგრამ კაშინგტონი უარს ამბობს მოლაპარაკებაზე და განაგრძობს აგრესიულ ხრიკებს, რაც სანდინისტურ მთავრობას აიძულებს განამტკიცოს ქვეყნის თავდაცვა, დაიცვას საგანგებო წესები.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. **პრეზიდენტმა რეიგანმა მიიღო ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი ი. შამირი, რომელიც ვიზიტად იმყოფება აქ. როგორც ამ შეხვედრის, ისე ისრაელის მინისტრისა და სახელმწიფო მდივნის ჯ. შულცის მოლაპარაკების სამი რაუნდის დღის წესრიგის ცენტრალური საკითხი იყო ლიბანის კრიზისის ეგრეთ წოდებული „მოწესრიგების“ პრობლემა.**

● ᲐᲨᲨ-ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ

ᲡᲠᲣᲚᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲒᲐᲒᲔᲑᲐ

რეიგანის ადმინისტრაცია, რომელიც აცხადებს, რომ თითქოს „დაინტერესებულია“ პრობლემის უსწრაფესი გადაწყვეტით და ლიბანის სრული სუვერენიტეტის აღდგენით, სინამდვილეში შამირის ვიზიტს იყენებს, რათა ტელ-ავივთან ერთად იმოქმედოს ისრაელის მიერ ამ სახელმწიფოში ოკუპაციის დასამკვიდრებლად. ჟურნალისტებთან საუბარში ი. შამირმა. გულახდილად აღიარა, რომ მის მიერ გამართული შეხვედრები სულაც არ უნდა მიიჩნიონ „მოლაპარაკებად ლიბანიდან ისრაელის ჯარების გაყვანის შესახებ“. როგორც მან თქვა, ეს იყო „ზოგადი დისკუსია“, რომლის დროს „სრული გაგებით“ მოეკიდნენ მის მიერ ჩამოყალიბებულ პოზიციას.

ამ პოზიციის არსი ტელ-ავივის ემისარმა ჩამოაყალიბა ეი-ბი-სი ტელეკომპანიისათვის მიცემულ ინტერვიუში. მან აღნიშნა, რომ ისრაელი აპირებს შეინარჩუნოს თავისი სამხედრო ყოფნა ლიბანში კიდევ „როგორც მინიმუმი“ ორი-სამი წლით და ამ საქმეში შეერთებული შტატების მხარდაჭერის იმედი აქვს.

როგორც რეიგანის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, მოლაპარაკების დროს სახელმწიფო მდივანმა ჯ. შულცმა დაარწმუნა ი. შამირი, რომ შეერთებული შტატები მთლიანად იზიარებს ისრაელის „უშიშროების ინტერესებს“, რომელთა საბაბითაც ტელ-ავივი ცდილობს დაამკვიდროს ლიბანის ოკუპაცია.

ვაშინგტონის შეხვედრების სწორედ ასეთ შედეგს ითვალისწინებს გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ როცა წერს, რომ მათ გამოლიბანის ტერიტორიიდან ისრაელის ჯარების შეყვანის შესახებ მოლაპარაკება, რომელიც უკვე ორ თვეზე მეტია მიმდინარეობს, შეიძლება, საბოლოოდ ჩიხში მოექცეს.

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲘᲜᲓᲝᲔᲚᲘ ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲔᲑᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡᲐ **და სსრ კავშირს შორის მოლაპარაკების თანახმად, ორი ინდოელი კოსმონავტი ი. გაგარინის სახელობის კოსმონავტთა მოსამზადებელ ცენტრში საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ერთობლივი კოსმოსური ექსპერიმენტისათვის ემზადება. ინდოელი კოსმონავტები ინტერესით ეცნობიან ჩვენი ქვეყნის დედაქალაქს.**

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗᲝ: (მარცხნიდან) კოსმონავტები რავიშ მალჰოტრა და რაქეშ შარმა ოჯახებთან ერთად წითელ მოედანზე.

ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ფოტო.

ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲖᲔ

ᲬᲐᲠᲐᲓᲒᲘᲜᲔᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ

მადრიდი. ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებისადმი მიძღვნილი თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების მადრიდის შეხვედრის პლენარულ სხდომაზე ნეიტრალური და მიუმხრობელი ქვეყნების დელეგაციებმა წარადგინეს შეხვედრის საბოლოო დოკუმენტის განახლებული პროექტი.

იუგოსლავიის დელეგაციის მეთაურმა, რომელმაც ეს დოკუმენტი წარმოადგინა, თქვა, რომ მისი ავტორების მეცადინეობის მიზანი იყო ხელი შეეწყოთ იმ პრობლემების გადაწყვეტისათვის, რომელთა გამო ჯერ არ არის მიღწეული თანხმობა და დაიჭარებნათ შეხვედრის უსწრაფესი და წარმატებული დამთავრება.

როგორც ცნობილი გახდა, უახლოესი დღეები მიეძღვნება მონაწილე ქვეყნების დელეგაციების მიერ საბოლოო დოკუმენტის განახლებული პროექტის შესწავლას.

ᲥᲔᲜᲔᲕᲘᲡ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐᲖᲔ

ᲥᲔᲜᲔᲕᲐ. აქ გაიმართა ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკებაზე წარმოგზავნილ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციათა პლენარული სხდომა.

ᲥᲔᲜᲔᲕᲐ. აქ გაიმართა სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების შესახებ მოლაპარაკებაზე წარმოგზავნილ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციათა პლენარული სხდომა.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲮᲔ

ᲛᲨᲐᲠᲕᲔᲚᲝᲒᲜᲔᲚ ᲐᲨᲔᲠᲘᲡᲢᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. **„მოყვანილ ფაქტებში არაფერია ისეთი, რასაც შეუძლია პრეზიდენტ რეიგანს თომას რიდის ნდობა შეურყიოს“, სი-ბი-ესის ტელეკომპანიის ცნობის თანახმად, თეთრი სახლის წარმომადგენელმა ახე განმარტა პრესაში მოხვედრილი ახალი მონაცემები, რომლებიც დამაჯერებლად მოწმობენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ერთ-ერთი თანაშემწე დიდი ფინანსური აფერისტია.**

ადმინისტრაცია ძალ-ღონეს არ იშურებს იმისათვის, რომ მიჩქმალოს მორიგი გამაყრუებელი სკანდალი, რომელიც თავს დაატყდა რიდს, ეროვნული უშიშროების საბჭოს თავდაცვის საკითხების კონსულტანტს. ამასობაში სკანდალში ებმებიან პრეზიდენტთან დაახლოებული ახალი პირები.

გამოირკვა, რომ როცა ხმებმა რიდის აფერის შესახებ თეთრ სახლამდე მიაღწია, მისი გამოძიება დაევალა რ. მორისს, უ. კლარკის სპეციალურ თანაშემწეს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანაშემწეს ეროვნული უშიშროების დარგში. მან საქმე გამოიძია, და როგორც მოსალოდნელი იყო, გააკეთა დასკვნა: რიდი „აბსოლუტურად პატიოსანია“. სწორედ ამ გამოძიების შედეგების მიხედვით აფერისტი საბოლოოდ დაამტკიცეს თავის აბლანდელ თანამდებობაზე.

მაგრამ ასეთი დასკვნა რომ გაეკეთებინა, მორისმა უბრალოდ უგულებელყო მის განკარგულებაში გადაცემული ყველა ცნობა, მათ შორის ერთ-ერთი ფედერალური უწყების სპეციალური მოხსენება, რომელშიც პირდაპირ ნათქვამია, რომ რიდის „წარმატებული“ ოპერაციები ბირჟაზე კანონის სერიოზული დარღვევაა.

სი-ბი-ესის სააგენტო აღნიშნავს, რომ თეთრი სახლი ცდილობს მიჩქმალოს სკანდალი, და ამით საფასურს უხდის აფერისტს სამსახურისათვის, რომელიც ახლანდელი ადმინისტრაციისთვის იმით არის „ძვირფასი“, რომ ერთ მილიონზე მეტი დოლარი შეაგროვა რეიგანის წინასაარჩევნო კამპანიის ფონდისათვის, როცა იგი პრეზიდენტის საკარძლისათვის იბრძოდა.

● ᲞᲐᲠᲐᲒᲕᲐᲘ

ᲒᲛᲝᲑᲔᲜ ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲣᲠᲐᲡ

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ. **თვალსაჩინო პარაგვაელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ყოფილმა თავმჯდომარემ ლუის რესკმა მკაცრად დაგმო გენერალ სტრესნერის დიქტატურა, რომელიც აბზობს თავისუფლების, დემოკრატიისა და სოციალური სამართლიანობისათვის ხალხთა მასების ბრძოლას.**

გაზეთ „ესტადუ დი სან-პაულუსთვის“ მიცემულ ინტერვიუში მან ხაზგასმით თქვა, რომ რეპრესიული რეჟიმი ხელისუფლების სათავეში იმყოფება მხოლოდ რეიგანის ადმინისტრაციისა და პარაგვაიში მოქმედი ტრანსეროვნული კორპორაციების მხარდაჭერით. როგორც ლ. რესკმა თქვა, ქვეყანაში ტერორის ახალი ტალღა გვიჩვენებს რომ დიქტატურა ყოველი საშუალებით ცდილობს გაანგრძლივოს თავისი არსებობა.

ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ **გაზეთის 27 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, ფორმირებისა და პროგნოზირების ცენტრის მასალა „ვინ „უკარნახებს“ ფასებს ბაზარს?“, რომელშიც მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების აქტუალური, სადღეისო საკითხი იყო გაშუქებული. ამ საგაზეთო მასალამ მკითხველთა ფართო ინტერესი გამოიწვია. გამოხმაურებათა შორის იყო პროფესორ ტ. კვანჭილაშვილის წერილი, რომელსაც ვბეჭდავთ.**

ᲛᲝᲡᲒᲚᲐᲕᲝᲜᲝᲑᲘᲡ რა სფეროსაც უნდა მიეკუთვნებოდნენ, ადამიანებს მაინც ერთიანებთ საერთო ინტერესები, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებისადმი დამოკიდებულება. მათ შორის ერთ-ერთი გამაერთიანებელი ფაქტორია ეკონომიკური პირობები, რომლებიც გარკვეულ ეტაპებზე წარმოიშობა. ამიტომ არის, რომ ლიტერატორისა თუ მეცნიერისათვის არ არსებობს მხოლოდ თავიანთი დარგებით დაინტერესება ისევე, როგორც პროდუქციის მწარმოებელი კოლმეურნე გლეხის ან ჭარხნის მუშის დაინტერესება მხოლოდ საკუთარი საქმიანობით. რაგინდ ლაყვარდებში დავფრინავდეთ, მიწაზე დგომა ყველას უწევს, „მიწიერი“ საკითხები ყველას ეხება, ამიტომ აინტერესებს კიდეც.

ნაკლებმნიშვნელოვანი როდია საკოლმეურნეო ბაზრებში სტიქიურად მოქმედი ფასები, რაც პატიოსანი მშრომელის ინტერესებს უპირისპირდება. ეს რომ კერძო შემთხვევა იყოს ან რაღაც გამონაკლისი, ეგებ არც არაფერი გვეთქვა, მაგრამ ბაზრის ფასები ბევრ სხვა რამეს უკავშირდება და ამიტომ ამაზე ღირს ლაპარაკი.

ეს იყო შარშან გაზაფხულზე. მეგობართან ერთად პირველი მაისის სახელობის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში ვიყავი. მასაც ჰყავს შვილები და შვილიშვილები და მეც. ხილის ყიდვა გვინდოდა. დახლებზე საადრეო ბალი გამოეტანთ. ისე შემოგვცინოდა ეს ბალი, რომ ბავშვებს კი არა, ჩვენც გვიზიდავდა. დავიფასებინეთ. კილოგრამი 10 მანეთიო. გაყიდველები ორნი იყვნენ — ცოლი და ქმარი. კაცი ცოტა დარცხვენილად გამოიყურებოდა, ქალი კი რიხით იდგა და ჩვენს გაოგნებულ სახეებს გამომწვევად უყურებდა. ბოლოს ხმა ამოვიღე და ლუღლუღით ვკითხე — კილოგრამი ღირს 10 მანეთი თუ მთელი ვედრო-მეთქი. ქალმა სტყვით ვერ გამიბედა, თორემ შემოხედვით კი მაგრონობინა, — ხომ არ გაგიჟებულხარო.

როცა მე ახსნა დავუწყე, რომ ეს ძალიან ძვირია, რა ანგარიშით ადებთ ასეთ ფასებს-მეთქი, მან ჯიქურ მიპასუხა: რა ანგარიში უნდა მაგას, იყიდება და ყვიდიო. მე ვუთხარი, თქვენ ხომ მაგ ერთი კილოგრამი ბალის ფასად სახელმწიფო მაღაზიაში 10 კილოგრამი შაქარი, ან 30 კილოგრამი გამომცხვარი თეთრი პურის ყიდვა შეგიძლიათ-მეთქი... აღარ მაცალა და უკმეხად მიპასუხა: „შენ თუ გინდა იყიდე, თუ არადა ლექციას თავი დაანებე!“ ჩემს ამხანაგს გაეცინა და გამეხუმრა, ნახე რა ნიჭიერია, როგორ მიხვდა, რომ შენი ხელობა ლექციების კითხვაო. ვიფიქრე, უზრდელობას მაინც არ შევარჩენ-მეთქი და გამყიდველს ვუპასუხე:

— ქალბატონო, მე „თქვენობით“ და „ქალბატონობით“ მოგმართავთ, თქვენ კი „შენობით“ მელაპარაკებით, ეს მაინც რას ნიშნავს-მეთქი.

— ახლა ზრდილობის სწავლება დამიწყო ამან! — თქვა და ზურგი შემაქცია.

— ღმერთო ჩემო, ნუთუ ფულმა ისე შეცვალა ადამიანი, რომ თავაზიანობაც დაავიწყებინა!.. ჩაილაპარაკე და იქიურობას გავცილდი.

ზურგს უკან გვესმოდა იმ ქალის ძახილი „აბა კარგი ბალიო“. მუშტრებს მოუხმობდა.

მე და ჩემი ამხანაგი თავს იმითოლა ვიმშვიდებდით, რომ ეგ ბალი მწარე იქნებოდა და ამიტომ არ ვიყიდეთო. მაგრამ თუმანი ღირდა მარწყვიც, ხუთი მანეთი — ვაშლი, თუმანი — პამიდორი... ამ ფასად ყველაფერი მწარე იქნებოდა...

განა ეს ამბავი მარტო მე და ჩემს ამხანაგს გვაწუხებს? რამდენ თქვენგანს, პატივცემული მკითხველო, ნერვები აგიწეწიათ და ბაზრიდან შინ ასე წამოსულხართ. კარგი, ბატონო, ბალსა და მარწყვს არ ვიყიდით და მოვიკლებთ ამ სიამოვნებას, მაგრამ აუცილებლად საჭირო პროდუქტებზეც ხომ ვერ ვიტყვით უარს? ყველის ფასი ნორჩისას გაუთანაბრდა — 7-8 მანეთი უნდა, ლობიოში — 3-4 მანეთს თხოულობენ და ა. შ. ასევე ძვირია წყალდასხმული და ბაგეგ დამძიმებული მწვანილი. რა ხელფასი გაუძლებს ასეთ ბაზარს?

ბაზრის ფასების ასეთი სტიქიურობა უარყოფითს დაღ ასვამს არა მარტო მომხმარებლის ბიუჯეტს, არამედ იგი საშიშია სხვა თვალსაზრისითაც. კიტრის, საზამთროს და პამიდორის საბაზრო ფასები იმდენად მაღალია, რომ ბევრ კახელ გლეხსაც კი ვენახის ადგილზე ან კიტრი და პამიდორი მოჰყავს ან საზამთრო. გლეხი ამას აკეთებს ანგარიშიანობით: ვენახმა მოსავალი რომ მოგვცეს, ოთხი წელი უნდა ელოლიავო, უარო, უცადო და მერეც ცასა და დედამიწას უნდა უუურო, რამე ხომ არ წაგიხდენს მოსავალს. ხოლო კიტრს წელიწადში ორჯერაც კი მოიყვანს კაცი და შემოსავალსაც განუზომლად დიდს მიიღებს. ახლა დაუკვირდით ამ ტანჯვაწყალობით მოყვანილი რქაწითელის ღუღუნა მტკვნებისა და გაბერილი საზამთროს საბაზრო ფასებს. ტოლ მიწის ფართობზე მოწეული კიტრის, პამიდვრის ან საზამთროს შემოსავალი ათჯერ მაინც აღემატება ყურძნისას. გლეხი ამაკ მიხვდა და პრაქტიკულადაც გადაწყვიტა საკითხი. ტრადიციას ყველა არ დაგიდევს, ბევრს „დღევანდელი კვერცხი“ ურჩევნია. ეს ფრიად დამაფიქრებელი მდგომარეობაა და ჩვენც განგაშის ზარები უნდა დავრეკოთ! ძველად ვენახიდან მიღებული შემოსავალი არათუ ჩამოუვარდებოდა, არამედ აღემატებოდა კიდეც ბოსტნეულისა და ბაღჩეულის შემოსავალს (ტოლი ფართობიდან) და ეს სამართლიანიც იყო, რადგან ვენახის მოვლაზე დახარჯული შრომაც გაცილებით დიდია.

უნებლიეთ მაგონდება ერთი ხალხური გადმოცემა: გურულმა გლეხმა ნაცნობი კახელი გლეხი თავის სოფელში დაპატიჟა. კახელი ესტუმრა და მასპინძელმა იმავე საღამოს კარგად აქციფა. მეორე დღე რომ გათენდა, სტუმარმა მასპინძელს სთხოვა — შენი ვენახი მაჩვენეო (უვენახოდ ვერც იქ ძლებდა). მასპინძელმა სტუმარი ეზოში გაიყვანა და დიდრონ მაღალ ხეზე გაშვებული „ადესა“ უჩვენა. კახელმა გაკვირვებით იკითხა:

— კაცო, ამას როგორა წამლავთ?

— ამას შეწამვლა არ სჭირდება!

ᲙᲘᲚᲝ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ?!

ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲘᲧᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲐᲓ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲡ ᲕᲔᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲕᲙᲐᲠᲜᲐᲮᲝᲒᲓᲔᲡ

— იი, გაფურჩვნით მაინც როგორა ფურჩნით, კაცო?

— ამას, ძმა, არც გაფურჩვნა სჭირდება.

— იიი, წვერი ხომ მაინც უნდა წაატეხოთ, როგორ სწვდებით?

— ამას არც წვერის წატეხვა სჭირდება.

გაოგნებული კახელი იდგა, იდგა, უყურა მასპინძელს და მერე გულიდან ამოიძახა: მა რა ნამუსითა სვამთ ამის ღვინოს, კაცო!

ასეთი იყო რქაწითელის პატრონის, დიდად სალოლიავებელი, მაგრამ უძვირფასესი ვაზის მომგვლელის ფსიქიკა — უშრომლად მოყვანილი ღვინის დალევა ვერ წარმოედგინა! რაღა თქმა უნდა, ასეთები დღესაც მრავლად არიან და ეს ჩვენი ბედნიერებაა, მაგრამ ამ „მეყარფუზეებსა“ და „მეკიტრეებს“ რა ვუყოთ? იქნებ არის საშველი? ვფიქრობთ, არის!

ჩვენი აზრით, გამოსავალი უნდა ვეძებოთ სამი მიმართულებით. ეს გახლავთ: სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესასყიდი ფასების გაწონასწორება; საკოლმეურნეო ბაზრებში ფასების მოწესრიგება და სახელმწიფო სექტორში მოწეული და მაღაზიებში შეტანილი ბოსტნეულის, ბაღჩეულისა და ხილის სიუხვე. ეს საკითხები დროულად თუ არ მოგვარდა, ვინ იცის, ახლანდელ ვითარებას რა მოჰყვება. ვაითუ ვენახს სხვებმაც ზურგი შეაქციონ და გაწყრეს ღმერთი!

დასახელებული სამი „ზიდან თითოეულს ცალ-ცალკე შევეხოთ.

დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ შესასყიდი ფასების გაწონასწორებაზე რომ ვლაპარაკობთ, ისე არ გაგვიგონ, თითქოს ყოველგვარ პროდუქტს ერთნაირი ფასი უნდა ჰქონდეს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ძირითადი პრინციპი — ანაზღაურება უნდა ხდებოდეს დახარჯული შრომის მიხედვით. ქართველი ყურძენი, შაქრიანობის შესატყვისად, დამამზადებელ პუნქტებს საშუალოდ კილოგრამი 40 კაპიკად ბარდება. ამავე დროს დამამზადებელი პუნქტები მაყვალს გაცილებით ძვირად შეისყიდიან. საადრეო კიტრის ან პამიდვრის, თუნდაც საზამთროს ფასებიც მანეთზე მეტია, ყურძნისა კი, როგორც ზემოთ ითქვა, ორჯერ — სამჯერ ნაკლებია. მე ეკონომისტი არა ვარ და ამიტომ ციფრების დაზუსტება არ მომეთხოვება, მთავარს კი სიმართლით მოგახსენებთ. ახლა თუნდაც მხოლოდ ამ მონაცემებს რომ დავუკვირდეთ, ბუნებრივად იბადება კითხვა: რა უდევს საფუძვლად შესასყიდი ფასების ასეთ დადგენას? პასუხის გაცემა ჭირს. ეს ყველასთვის ცნობილი არ არის, რომ მაყვლის ბარდი [illegible] რობს, მას არც [illegible] არც მოვლა, არც არავითარი შრომა, გარდა მოკრეფისა და დამამზადებელ პუნქტში მიტანისა? (მოკრეფა და მიტანა ხომ ყურძენსაც უნდა!). კიტრსა და პამიდორს თუმცა ნიადაგის დამუშავებაც სჭირდება, მოვლაც და შრომაც, მაგრამ მისი გათანაბრება ვენახთან შეუძლებელია. ჩემი აზრით, ვაზის მოვლა თავისი შრომატევადობით ალბათ მხოლოდ ჩაის მოვლას შეიძლება შეადაროთ, თუმცა აქაც არის განსხვავება. მაგრამ ფასების საკითხი მეჩაიეებისათვის გაცილებით ხელსაყრელად არის გადაწყვეტილი, ვიდრე მევენახეებისათვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნახევარი ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მეჩაიე გაცილებით მეტ შემოსავალს იღებს, ვიდრე იმავე ფართობი ვენახის მომლელი, თუმცა სამუშაო მეტი თუ არა, ნაკლები არ გაუწევია. ასევე ითქმის ციტრუსებზეც, რომლებსაც უფრო ნაკლები შრომა სჭირდება, რატომ არის ეს ასე? ოდესღაც ასეთ მიდგომას ეგებ გამართლებაც ჰქონდა, რადგან მაშინ ჩაისა და ციტრუსოვანთა გავრცელებით ხალხი უნდა დაგვეინტერესებინა, მაგრამ ამჟამად ასეთ დისპროპორციებს ვეღარ გავამართლებთ.

ჩვენი აზრით, საკითხი უნდა გადაწყდეს ისე, რომ ერთნაირი შრომის საფასური ერთნაირი იყოს.

მეორე საკითხია საკოლმეურნეო ბაზრებში ფასებისადმი კონტროლის დაწესება და მტკიცე წესრიგის დაცვა. ეს ძალზე მწვავე საკითხია არა მარტო იმიტომ, რომ პატიოსანი მშრომელი ადამიანის საოჯახო ბიუჯეტს ეხება, არამედ იგი სხვა მხრივაც არის საინტერესო. ჯერ ერთი, ბაზრის ფასი დამზადების ფასებს რომ მიუახლოვდება, მაშინ კერძო „მეყარფუზეების“ რიცხვი შემცირდება, რადგან ისინიც თავიანთ მოსავალს დამამზადებელ ორგანიზაციებს მიჰყიდიან, ამით კი მაღაზიებში იმატებს ბოსტნეულის და ბაღჩეულის რაოდენობა. შესაბამისად, მყიდველი მაღაზიაში წავა და არა ბაზარში, ამით მის ჯიბეს შვება მიეცემა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ საკითხის ზნეობრივი მხარეც: ბაზრის ახლანდელი გაბერილი ფასები უარყოფითად მოქმედებს როგორც გამყიდველის, ასევე მყიდველის ზნეობასა და ფსიქიკაზე.

ზემოთ ბალზე რომ მოგახსენებდით, ერთიც უნდა დავუმატო. ერთი ძირი დიდი ბლის ხე სულ ბევრი 50 კვადრატულ მეტრ მიწის ფართობს იკავებს. ამ ხიდან გლეხი 100 კილოგრამ ნაყოფს მოკრეფს წელიწადში და თუ ათ მანეთად გაყიდა, მაშასადამე, ერთი ხიდან 1 000 მანეთს მიიღებს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბალს დარგვის შემდეგ მოვლა თითქმის არ სჭირდება, ამ მცირე ნაკვეთიდან ამდენი შემოსავლის მიღება გაუგონრად ბევრია. პურის მომყვანი მთელი ჰექტარიდან ვერ მიიღებს ამდენ შემოსავალს. შეფარდებაზე თუ წავა საქმე, ვერც მევენახე და ვერც მეჩაიე შესაბამისი ფართობიდან ამის მეათედსაც ვერ მიიღებენ, უდიდესი შრომის შედეგადაც კი.

მესამე გზა ყველაფერს მოაწესრიგებდა. თუ სახელმწიფო სექტორში მოწეული ხილი, ბოსტნეული, ბაღჩეული და საერთოდ სოფლის მეურნეობის პროდუქტები სახელმწიფო მაღაზიებში უხვად გვექნება, მაშინ არც საეკულაცია იქნება საკოლმეურნეო ბაზრებში და არც ციცქნის ფასად გაიყიდებოდა პროდუქტები. თუ ეს მოგვარდება, მაშინ პატიოსანი მშრომელის საოჯახო ბიუჯეტიც არ დაზარალდება, არც ზნეობა დაქვეითდება. ეს იმდენად ნათელია, რომ, არა მგონია, მას განმარტება სჭირდებოდეს. შედეგი მაღაზიებში და ნახეთ, რომელი საქონლითაც სავაჭრო ქსელი კარგად მარაგდება, მასზე სპეკულანტი ხელს ვერ ითბობს. ეს ურყევი კანონია. ისიც სათქმელია, რომ ბაზარი მაღაზიის პროდუქტებს ვერც ხარისხით უნდა უწევდეს კონკურენცია-მეტოქეობას.

შეუძლებელია აქ დასმულმა საკითხებმა გულგრილი დატოვოს პატიოსანი ადამიანები, რომელთა განწყობილებასაც ხშირად ბაზრებში შექმნილი ვითარება განსაზღვრავს. ადამიანთა განწყობილება კი ისეთი ფაქტორია, რომელსაც ანგარიშს უნდა ვუწევდეთ. მილიონობით პატიოსანი ადამიანი ერთი მუჭა გაქნილთა უსაქციელობამ არ უნდა გაიღიზიანოს და ჩვენი საზოგადოების მომდურავი არ უნდა გახადოს.

პარტიის მიერ შემუშავებული სასურსათო პროგრამის სრულ განხორციელებამდე, რაც საჭმოთა ადამიანების კეთილდღეობისათვის არის გამიზნული, ჩვენ მიერ წამოყენებული საკითხების გადაწყვეტა, ვფიქრობ, საშური საქმეა.

ისეთ გეგმაინ და ცენტრალიზებულ სახელმწიფოში, როგორიც ჩვენია, ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთებულა პატიოსანი მშრომელებისათვის, ბევრი სიძნელე და დაბრკოლება დაძლეულა და ამიტომ ეჭვიც არ მეპარება, რომ ბაზრებში შექმნილ არასასურველ მდგომარეობასაც მოვეევლება.

Თ. ᲙᲕᲐᲜᲭᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

„ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ“ № 5

**ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲘ

ასაკის მუშვენ ნაამაგარ



ᲛᲘᲜᲘ სიჭაბუკის, სტუდენტობის წლები დიდი სამამულო ომის მრისხანე ხანას დაემთხვა.. 1944 წელს თბილისის სახელმწიფო სამეცნიერო ინსტიტუტი დაამთავრა და მაშინვე სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. ირაკლი თოფურია 62-ე, მე-4 სატანკო არმიების, 25-ე სატანკო კორპუსისა და მე-20 მოტომსროლელი ბრიგადის ვეტერანია. დემობილიზაციის შემდეგ, 1946 წლიდან, იგი ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში მუშაობს ჯერ უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის, შემდეგ უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობებზე, ამჟამად დირექტორის მოადგილეა სამეცნიერო დარგში. 1959-1962 წლებში იგი ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა.

მეცნიერს გამოქვეყნებული აქვს 126 ნაშრომი ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე, 6 მთგანი მონოგრაფიაა. ი. თოფურიას სამეცნიერო მოღვაწეობის შედეგები 11 მეთოდიკური მითითების სახით დანერგილია სამედიცინო პრაქტიკაში. მათ დიდად შეუწყვეს ხელი საქართველოში მალარიის ლიკვიდაციას, სხვა პარაზიტულ და ტროპიკულ სნეულებათა მკვეთრ შემცირებას.

ასე შეიტანა ი. თოფურიამ თავისი ღირსეული წვლილი ნამდვილად დიდ და საშვილიშვილო საქმეში. როგორც ცნობილია, დასავლეთ საქართველო ტენიან, ხოლო აღმოსავლეთ საქართველო მშრალ სუბტროპიკებს მიეკუთვნება. ამიტომაც იყო, რომ ჩვენში წინათ ტროპიკული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი დაავადებანი დამკვიდრებდა. მათ წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე გაჩაღა, როცა პროფესორმა სპირიდონ ვირსალაძემ ჩამოაყალიბა, შემდეგ კი პროფესორმა სიმონ კანდელაკმა განავითარა ტროპიკული მედიცინის შესანიშნავი სკოლა, რომელსაც დღეს დიდი სახელი აქვს მთელ საბჭოთა კავშირში და უცხოეთშიც.

ქართველი ტროპიკოლოგებისა და პარაზიტოლოგების ბრწყინვალე გამარჯვებაა, რომ 1970 წლიდან საქართველოს მოსახლეობაში მალარიით დაავადება ალარ გვხვდება, თუმცა ჭაობები ჩვენთან ბევრგან არის კიდევ შემორჩენილი და უცხოეთის ცხელი ქვეყნებიდან ჩამოსულთაც ზოგჯერ აღმოაჩნდებათ ხოლმე მალარია. ასე რიგიანად არის ორგანიზებული ჩვენს რესპუბლიკაში დაავადების პროფილაქტიკა. შესაფერი შემართებით წარიმართება ბრძოლა სხვა ტროპიკულ პარაზიტულ დაავადებათა წინააღმდეგაც და ამ კეთილშობილურ საქმეში, აქტიურ შემოქმედებითს მოღვაწეობაში ერთი წამყვანი როლი განეკუთვნება წყორედ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ი. თოფურიას.

ამაგდარი მეცნიერი მალარიის პროფილაქტიკის მიზნით ჩვენი ქვეყნის სხვა რესპუბლიკებშიც იღვწის. 1961 წელს იგი ხელმძღვანელობდა საბჭოთა ექიმების ჯგუფს, რომელიც ნაყოფიერად მუშაობდა ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკაში.

პროფესორი ი. თოფურია აქტიური საზოგადო მოღვაწეობითაც გამოირჩევა. არჩეულია თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის წევრად, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფთა საზოგადოების საბჭოს წევრად და სამედიცინო გეოგრაფთა სექციის თავმჯდომარედ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფთა საზოგადოების სამედიცინო-სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სპეციალიზებული საბჭოს წევრად და სხვა.

მეცნიერი დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავისა და სპატიონ ნიშნის ორდენებით, საბრძოლო მედლებით, ჯანმრთელობის დაცვის წარჩინებულის სამკერდე ნიშნით.

ღრმა ცოდნა, შრომისმოყვარეობა და ჩვეული შემართება, რითაც ასე გამოირჩევა პროფესორი ი. თოფურია, სრულ რწმენის გვაძლევს, რომ მომავლში იგი ახალი მოღწევებით გაგვახარებს, კვლავაც ღირსეულ წვლილს შეიტანს საზოგადო საქმის წინსვლაში.

სამოცი წელი მეცნიერის საქარმაგის ასაკია, შინაარსიანად განვლილი გზის გადასახედია. ისეთი ღვაწლის კაცს, როგორიც პროფესორი ირაკლი თოფურიაა, შეუძლია დამსახურებულად იამაყოს: ნაამაგარი ჭეშმარიტად უმშვენებს ასაკს.

გ. მარუაშვილი,
სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

თეატრი ელის მაყურებელს

რუსთაველის მოედნის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართულმა თეატრმა მისამართი შეიცვალა და სპექტაკლებს რკინიგზელთა სახლში მართავს. „მამათა-კვირაობით, დღეში ორ-სამჯერ თეატრი პარალელურად სპექტაკლებს ძერჟინსკის სახელობის კლუბში უწევნებს. მოზარდმა მაყურებელმა თეატრის სცენაზე იხილა დ. კლდიაშვილის „ორინეს ბედნიერება“, კ. გოლდონის „ორი ბატონის მსახური“, ე. შვარცის „თოვლის დედოფალი“, გ. შამლინის „დინოზავრებს გაუმარჯოს“ და სხვა სპექტაკლები.

მთავარმა რეჟისორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ შ. გაწერელიამ შარშან თეატრის კოლექტივსა და შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის მესამეკურსელებთან ერთად დადგა ა. ჩხაიძის „თავისუფალი თემა“, რომელსაც მალე რკინიგზელის სახლის სცენაზეც უჩვენებენ. ამჟამად მიმდინარეობს ახალი სპექტაკლების რეპეტიციები. ესენია გ. ნახუცრიშვილისა და ბ. გამრეკელის „ნაცარქექია“, ა. ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი“, თ. ჭილაძის „თავფარავნელის ბალადა“.

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს მიუძღვნის თეატრი ვ. იაკაშვილის პიესას „ქართულ-კახეთის სამეფოს უკანასკნელი წლების ქრონიკა“.

თეატრის ინიციატივით მოზარდებს კვლავ ექნებათ ტრადიციული შეხვედრები თეატრალური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებთან, სტუდენტებთან და თეატრმცოდნეებთან.

მოსწავლეთა მარტის არდადეგებთან დაკავშირებით თეატრი დღეში სამ წარმოდგენას უჩვენებს. სავარაუდოა, რომ რკინიგზელთა სახლის მაყურებელთა დარბაზში დროულად დამთავრდება სკამების დამონტაჟება და სხვა სამუშაოები.

თეატრი კვლავ მრავალ საინტერესო წარმოდგენას ჰპირდება მოზარდ მაყურებელს.

ი. ცხვედიანი.

საოპერო სტუდიის პრემიერა

გორი. (ხაკ. კორ.). გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე ქალაქის სამუსიკო სასწავლებელთან არსებულმა საოპერო სტუდიამ წარმოადგინა თავისი ახალი ნამუშევარი — დომენიკო ჩიმაროზას ოპერა „საიდუმლო ქორწინება“.

სპექტაკლს დირიჟორობდა რ. ტაკიძე, დამდგმელი რეჟისორია შ. კობიძე, მხატვარი — რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი შ. ხუციშვილი.

როლებს ასრულებდნენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ე. გეწაძე, ი. კავსაძე, ო. ხოფერია, ნ. გიგუაშვილი, ნ. ჩაგანავა, ე. კვალაშვილი.

ᲚᲔᲕᲘᲢᲘᲜᲐ. (ჩვენი სპეც. კორ.). ჰავანაში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა — გაფრინდაშვილ-ლევიტინას მეოთხედფინალური მატჩის მეორე პარტიაში თეთრებით თამაშობდა ლენინგრადელი დიდოსტატი.

მეტოქეებმა გაითამაშეს ლაზიერის გამბიტის ერთ-ერთი ვარიანტი. ბრძოლამ თავიდანვე მწვავე ხასიათი მიიღო. ლაზიერის ფრთაზე ორივე მხარემ ჭარბ ძალებს მოუყარა თავი. ლევიტინამ შეძლო ხელთ ეგდო ინიციატივა და 26-ე სვლაზე პაიკიც მოიგო. ეს მას მომდევნო თამაშში კარგ პერსპექტივებს უქმნიდა, თუმცა მსოფლიო ექსჩემპიონი ინარჩუნებდა შეუპოვარი წინაააღმდეგობის შესაძლებლობებს.

შეხვედრის მეხუთე საათზე გაფრინდაშვილს მძიმე შეცდომა მოუვიდა. მან ვერ გაითვალისწინა თეთრების კომბინაციური შემოტევის შესაძლებლობა. ლევიტინამ მხედრის სვლით დაუყოვნებლივ მიიღო გადამწყვეტი უპირატესობა და 37-ე სვლაზე უკვე მეორე გამარჯვება მოიპოვა. ასეთ შედეგს სტარტზე, შეიძლება ითქვას, არავინ მოელოდა.

მეორე პარტია

ლევიტინა-გაფრინდაშვილი

ლაზიერის გამბიტი

1. e3 d5 2. d4 e6 3. c4 f6 4. c3 c6 5. g5 bd7 6. e3 h6 7. h4 0-0 8. c1 c6 9. d3 dc 10. g×c4 b5 11. d3 a6 12. a4 ba 13. f×a4 a5+ 14. d2 b4 15. c3 c5 16. b3 b6 17. 0-0 cd 18. a4 d8 19. e4 b8 20. f×d4 b7 21. g×b7 g×b7 22. c6 a8 23. d4 a5 24. c4 a6 25. g×f6 f×f6 26. f×b4 g×b4 27. g×b4 ab 28. ×b4 d5 29. d4 c8 30. c5 b6 31. c1 b8 32. b3 a8 33. c4 c8 34. h3 b4 35. d4 a2 36. c4 a5 37. f×e6 შავები დანებდნენ.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 2:0 ლევიტინას სასარგებლოდ. მესამე პარტია დღეს უნდა გაიმართოს. თეთრებით ითამაშებს გაფრინდაშვილი.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. მომდინარე ვაჟთა მსოფლიო პირველობის მეოთხედფინალური მატჩის მერვე პარტიის შემდეგ გ. კასპაროვს რეალური შანსი გაუჩნდა ამ მატჩის საბოლოოდ მოგებისა. მან ხომ მერვე პარტიის შემდეგ მნიშვნელოვნად გაუსწრო ა. ბელიავსკის (5:3), და ახლა დარჩენილ ორ პარტიაში ნახევარი ქულაც ჰყოფნის საბოლოო გამარჯვებისათვის. რეგლამენტით მეცხრე პარტია დღეს უნდა გაიმართოს.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲪᲘᲒᲣᲠᲐᲒᲘᲗ ᲡᲬᲠᲐᲤᲠᲐᲒᲔᲜᲐ. კიევში გაიმართა სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ახალგაზრდული ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. საბჭოთა სპორტსმენებმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს — 225:123.

ᲫᲘᲣ-ᲯᲣ. ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში გაიმართა „პრაღის განთავისუფლების თასის“ გათამაშება. ამ საერთაშორისო შეჯიბრებაში საბჭოთა სპორტსმენებმა ორი პირველი, აგრეთვე სამ-სამ ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. გუნდურ პირველობას სსრ კავშირის ნაკრები დაეუფლა. იაპონელი ძიუდოისტები მეორე ადგილზე გამოვიდნენ.

ᲡᲢᲘᲥᲘᲐᲡ ᲡᲘᲫᲚᲘᲡ

ᲓᲘᲓᲗᲝᲕᲚᲝᲑᲐᲛ და ქარიშხალმა თავისებური სიძნელეები შეუქმნა ამ დღეებში ქალაქ ტყიბულსა და მისი ზონის სოფლებს. მწყობრიდან გამოვიდა ელექტროქსელი, რის გამოც ქვანახშირის მაღაროებში გაჩერდა ცენტრალური ვენტილატორები, კომპრესორები, ამწეები. მეშახტეები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ მიწისქვეშა სანგრევები.

თოვლმა დაახიანა წყალსადენი, რის გამოც ქალაქის მოსახლეობა მოკლებული იყო სასმელ და ტექნიკურ წყალს. რკინიგზის ქუთაისი-ტყიბულის ხაზზე არ ხერხდებოდა ტრანსპორტის მოძრაობა, შეფერხდა სახალხო-სამეურნეო ტვირთზიდვა და მგზავრთა გადაყვანა. ჩაკეტილი იყო ქუთაისი-ტყიბულისა და ტყიბულ-ამბროლაურის საავტომობილო გზები, სკოლებში შეწყდა მეცადინეობა.

— მოსახლეობა დროულად დარაზმა შექმნილ სიძნელეებთან საბრძოლველად, — გვითხრა სტიქიის. შედეგების სალიკვიდაციო შტაბის უფროსმა, პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა თ. კუბლაშვილმა. საერთო ენთუზიაზმმა სძლია სტიქიას — აღდგა ქალაქის მკვებავი ელექტროგადამცემი ხაზი (ქალაქმა პირველ საღამოსვე მიიღო ელექტროენერგია). ამუშავდნენ მაღაროები და სამრეწველო საწარმოები. ნამდვილი გმირობა გამოიჩინეს იმ დღეებში რკინიგზელებმა, რომლებმაც დროულად აღადგინეს მატარებლების მოძრაობა ქუთაის-ტყიბულის ხაზზე.

ყველაზე დაძაბული უბანი ქუთაის-ტყიბულის საავტომობილო გზა გახლდათ, რომელსაც ორივე მხრიდან უტეეგდნენ ბულდოზერები და გრეიდერები. ამ უბანზე ტრანსპორტის მოძრაობა დროულად იქნა აღდგენილი, ასევე დროულად გაიწმინდა თოვლისგან ზესტაფონთან და ამბროლაურთან დამაკავშირებელი საავტომობილო ტრასებიც. ქალაქის მოსახლეობას ძირითადად არაფერი გასჭირვებია, არ შეფერხებულა მისი სურსათით მომარაგება. საგაჭრო ობიექტებიც ნორმალურად მუშაობდნენ.

ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ყველაფერი იღონეს უჩვეულო დიდთოვლობით გამოწვეული სიძნელეების გადასალახავად.

- Თ. ᲪᲘᲠᲘᲥᲘᲫᲔ,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.



Თ. Შ. ᲮᲣᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ

პროფკავშირთა კურორტების სისტემამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა დიდი სამამულო ომისა და შრომის ვეტერანი, საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი, 1940 წლიდან სკკპ წევრი ვახტანგ ფილიმონის ძე **ხუციშვილი.**

იგი დაიბადა 1914 წელს. შრომითი საქმიანობა დაიწყო წნორისწყლის საშუალო სკოლის პედაგოგად. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სიღნაღის რაისაბჭოს მთავარ ექიმად, ჯანმრთელობის დაცვის რაიონული განყოფილების გამგედ, მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში სანიტარიული სამსახურის უფროსად. დემობილიზების შემდეგ მოღვაწეობდა ამბერკავკასიის რკინიგზის ბორჯომის სანიტარიულ-სამედიცინო სამსახურში, ხოლო 1946 წლიდან პროფკავშირთა კურორტების სისტემაში მუშაობს ჯერ აჭარაში, შემდეგ ბორჯომში, საკურორტო სამმართველოს უფროსად. 1953 წლიდან კურორტების მართვის ბორჯომის ტერიტორიულ საბჭოს ედგა სათავეში.

ვ. ხუციშვილი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომის ბიუროს წევრად, რაიონის მრავალი მოწვევის სახალხო დეპუტატთა საბჭოს დეპუტატად. დაჯილდოებული იყო ორი შრომის წითელი დროშის ორდენით, საპატიო ნიშნის ორდენითა და მედლებით.

შესანიშნავი ხელმძღვანელის, გულისხმიერი ადამიანის ვ. ხუციშვილის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ახლობლების, კოლეგებისა და მეგობრების გულში.

საქართველოს პროფსაბჭო; საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომი; ბორჯომის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი.

რედაქტორი
Გ. ᲑᲔᲓᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲘᲜᲐᲞᲠᲔᲑᲘ

ᲒᲖᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡᲐ

საქართველოს მშვენიერ კურორტს — გაგრას თავს აღგას 2.000 მეტრ სიმაღლემდე ატყორცნილი მამძიშის მთა. კურორტიდან მის მწვერვალამდე მიიკლაკნება გზა, რომელიც სუბტროპიკული სანაპიროდან კავკასიონის ალპურ ზონაში ადის.

გზის პირას ახალი გაგრის თავზე, კლდეში ამოკვეთილია წარწერა, რომელიც გვამცნობს, რომ ალპური გზის მშენებლობის ხელმძღვანელი ყოფილა უფროსი ტოპოგრაფი იოსებ მალაქიას ძე მარუაშვილი. გზა გაყვანილია 1904 წელს გაგრის ფლობელის — პრინც ოლდენბურგის ბრძანებით.

რევოლუციამ გაგრის კურორტიც, მამძიშის მთაც და „ალპური გზატკეცილიც“ მშრომელი ხალხის საკუთრებად აქცია. მიუხედავად იმისა, რომ ალპური გზა თითქმის რვა ათეული წლისაა, კვლავაც შესანიშნავ მდგომარეობაშია.

ვინ იყო იოსებ მარუაშვილი, ვინ იყო ის კაცი, რომლის ხელმძღვანელობითაც უღრან ტყეებსა და ქარაფებში გაიყვანეს ოცდაკამეტნახევარი ვერსი თვალწარმტაცი გზა.

იოსებ მარუაშვილი 1877 წელს ზემო იმერეთის სოფელ თავასაში დაიბადა.

იოსებ ჩვიდმეტი წლისა დაობლდა. მან ქუთაისის სამოწათმზომელო სასწავლებელი დაამთავრა, აქედან იწყება მისი ცხოვრების დამოუკიდებელი, შრომითა და მამულშვილური ზრუნვით აღსავსე გზა. იგი თავისი ხელფასით არჩენდა დედას, სამ ძმას და ორ დას, რომლებიც მამის სიკვდილის შემდეგ უსახსროდ დარჩნენ.

მისი დამსახურებაა აგრეთვე აფხაზეთის უკიდურეს ჩრდილოდასავლეთ ნაწილში, ახლანდელი განთიად-ლესელიძის შემოგარენში, ანუ ყოფილი პილენკოვოს რაიონში მიწამიცერე ქართველი გლეხების დასახლების დაგეგმვა. მისმა შედგენილმა საახალშენო პროექტმა მოსკოვში დიდი მოწონება დაიმსახურა და მისაბაძ ნამუშევრად აღიარეს. ამის შედეგად გაგრის რაიონში, კრასნოდარის მხარის საზღვართან გაჩნდა ქართველი მოსახლეობა. იოსებ მარუაშვილისვე პროექტით გაუნაწილდათ ქართველ გლეხებს დამოღოვების მდიდარი გვარის მამული ლაგოდეხის რაიონში, ნაყოფიერი მიწები მარნეულისა და გარდაბნის რაიონებში. იოსებ მარუაშვილმა ჩაატარა სატრიანგულაციო სამუშაოები როგორც საქართველოს, ისევე კავკასიის სხვა მხარეების ტერიტორიაზე, შეადგინა მრავალი რუკა და გეგმა ჩვენი რესპუბლიკის მიწის ფონდის სამართლიანი და მიზანშეწონილი გამოყენებისათვის.

იოსებ მარუაშვილმა თავისი წვლილი 1905 წლის რევოლუციაშიც შეიტანა. იგი კარგად ხედავდა მშრომელი ხალხის უუფლებობას და დამცირებას. რუსეთის იმპერიის დიდი ქალაქებიდან „მყუდრო“ გაგრამდეც აღწევდა 1905 წლის შფოთიანი ამბები. იოსებ მარუაშვილმა თავისი კეთილდღეობა უბრალო ხალხის ინტერესებს ანაცვალა.

ჩვენს ხელთაა პოლიტკატორღელთა საზოგადოების მიერ 1933 წელს გამოცემული ბროშურა „გაგრის საქმე“.

კითხულობს „გაგრის საქმეს“ და თვალწინ გესახება ხალხის ნათელი მომავლისათვის მებრძოლი ადამიანები. პრინც ოლდენბურგის მიერ გაგრის „ალიმატური სადგურის“, ესე იგი, კურორტის უფროსის თანამდებობაზე დანიშნული, ოხრანკის ყოფილი თანამშრომელი, შავრაზმელი შერემეტიევსკი უმოწყალოდ დევნიდა სახელმწიფო სამსახურში მყოფ ქართველებს, როგორც „ინოროდცებს“. მან მოკლე ხანში პატიოსანი ადამიანების ზიზღი და გულისწყრომა დაიმსახურა. შერემეტიევსკის განსაკუთრებით სძულდა იოსებ მარუაშვილი და ილია ჩიჩკინი, რომლებიც რევოლუციურ პროპაგანდას ეწეოდნენ. როდესაც კაზაკებმა დაარბიეს მარსელიოზის პანგებით გაგრისაკენ მიმავალი მშრომელთა დემონსტრაცია, შერემეტიევსკემ ჯერ სამსახურიდან გააძევა მარუაშვილი და ჩიჩკინი, შემდეგ კი დააპატიმრა, როგორც ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლი რევოლუციონერები. ხალხმა მარსელიოზით გაიცალა ნავი, რომელსაც ისინი გემისკენ მიჰყავდა და ფიცი დადო შური ეძია რეაქციონერ შერემეტიევსკზე. რამდენიმე დღის შემდეგ ფარნაოზ ჯიქიამ, მიხეილ ორაგველიძემ და ავქსენტი ბენდელიანმა მოკლეს შერემეტიევსკი. ასე იშვა „გაგრის საქმე“ — სასამართლო პროცესი, როშლითაც მეფის ხელისუფლებას განზრახული ჰქონდა გაგრაში მოქმედ რევოლუციონერთა ჯგუფის ათვის ბოლოს მოღება. საქმე გაირჩა ბათუმში 1907 წელს. მარუაშვილს, ჩიჩკინს და კიდევ 30 სხვა ქართველს სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიესაჯათ.

ეს სახელოვანი ადამიანი გარდაიცვალა 1931 წელს. იგი ღვაწლმოსილი წავიდა ამ ქვეყნიდან. მისს სახელი უკვდავია იმითაც, რომ ღირსეული მემკვიდრეობა დატოვა. იგი მამაა სახელგანთქმული მეცნიერის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის გეომორფოლოგიისა და პალეოგრაფიის განყოფილების გამგის, რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის ღვეან მარუაშვილის, მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის განყოფილების გამგის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის თინა მარუაშვილისა.

იოსებ მარუაშვილი იყო ზედიზწევნით პატიოსანი და კეთილი ადამიანი, თავისი ახლობლების, ქვეყნის, ხალხის უსაზღვრო მოსიყვარულე. მან ღირსეულად მოიხადა მოქალაქეობრივი ვალი სამშობლოს წინაშე.

დ. ᲑᲘᲬᲐᲫᲔ.

ᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲐᲮᲐᲚ ᲤᲘᲚᲛᲡ

ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ ერთი უიღბლო კანდიდატის თავგადასავალს მოუთხრობს მაყურებელს ახალი კომედია „ცისფერი მთები“, რომელსაც რეზო ჭეიშვილისა და ელდარ შენგელაიას სცენარის მიხედვით იღებენ ლენინის ორდენოსან კინოსტუდია „ქართულ ფილმში“. ფილმის დამდგმელი რეჟისორია საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ელდარ შენგელაია, დამდგმელი ოპერატორი — რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ლევან პაატაშვილი.

მთავარ როლებს ასრულებენ მსახიობები რამაზ გიორგობიანი, დარეჯან სუმბათაშვილი, ვასილ კახნიაშვილი, ვანო საყვარელიძე, გრიგოლ ნაცვლიშვილი და სხვები.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗᲐᲜ: დამდგმელი რეჟისორი ელდარ შენგელაია და დამდგმელი ოპერატორი ლევან პაატაშვილი ახალი ფილმის გადაღებისას; კადრი ფილმიდან: სოსო — რამაზ გიორგობიანი (მარჯვნივ), ვასო—ვასილ კახნიაშვილი, ბელა — დარეჯან სუმბათაშვილი.

გ. ᲓᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲨᲘ

ᲓᲐᲛᲢᲐᲪᲔᲑᲚᲔᲑᲘ

ᲬᲘᲡᲠᲘᲒᲘᲡᲐ და საწარმოო დისციპლინის უხეშმა დარღვევამ, მიღებული ტვირთის აღრიცხვისა და დაცვა-შენახვის საქმეში სათანადო კოხტოროლის უქონლობამ სამტრედიის რკინიგზის მეორე სადგურში რეალური პირობები შექმნა სახელმწიფო ქონების დიდი რაოდენობით დატაცებისათვის. ასეთი დასკვნა გამოიტანა რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ. სამტრედიის რკინიგზელთა კლუბში გამსვლელ სხდომაზე მან განიხილა ამ სადგურის რამდენიმე ყოფილი მუშაკის და მთელ რიგ სხვა პირთა საქმე. მათ მოკლე ხანში მოახერხეს 35.140 მანეთის სახალხო ქონების დატაცება.

სამტრედიის მეორე სადგურის ტვირთის მიმღებებმა ვ. კუჭუხიძემ და თ. ნადირაძემ დანაშაულებრივი კავშირი შეკრეს სატვირთო ეზოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელ ტ. ჩაჩუასთან და სამტრედიის ქალაქვაჭრობის № 42 მაღაზიის გამგე ო. დუნდუასთან და დაიწყეს სადგურში მოსული ვაგონების გახსნა და იქიდან ტვირთის ნაწილის მოპარვა. მხოლოდ ასეთი „დამუშავების“ შედეგად გზავნდნენ ისინი ვაგონებს დანიშნულებისამებრ.

პირველი ვაგონიდან მათ მოიპარეს 1380 კილოგრამი პოლეოთილენის აფსკი, მეორე ვაგონიდან — დაახლოებით 4,5 ტონა პოლეოთილენის ნაფხვენი. მესამედან — 27600 პოლეოთილენის პარკი — სულ 11 ათას მანეთზე მეტი ღირებულების საქონელი. ნაქურდალის გასაღებაში მათ ეხმარებოდა სამტრედიის „საქსოფლტექნიკის“ № 12 კანტორის სატვირთო ავტომანქანის მძღოლი თ. მოსიძე.

დაუსჯელობა და იოლი გზით გამდიდრების საშუალება სულ უფრო მეტად უხსნიდა მადას დამნაშავეებს, ისინი სულ უფრო თავგზადაებოდნენ. მორიგი ვაგონიდან მათ უკვე ორასი ტომარა (ათი ტონა) მაქრის ფხვნილი მოიტაცეს. მთელი პარტია 10400 მანეთად ბითუმად მიჰყიდეს ვანის რაიკოოპკავშირის ავტომაღაზიის მძღოლ-გაყიდველს ჯ. ხუმბულავას, ამ უკანასკნელმა კი სპეკულაციურ ფასებში მიჰყიდა ვანის რაიონის სოფლების ზეინდრისა და გორას მცხოვრებლებს. აქ, სამწუხაროდ, არც სასოფლო საბჭო, არც სოფლის აქტივი არ დაინტერესებულა, თუ საიდან გაჩნდა ამდენი ნორმირებული პროდუქტი, თუმცა მას აქ ტომრებით ყიდულობდნენ.

ამ ოპერაციამაც მშვიდობიანად ჩაიარა და დამნაშავეებს უკვეცა ქუდად აღარ მიიჩნდათ და დედამიწა ქალამნად. მორიგი „ოპერაციის“ დროს ისინი აღარ „დაწვრილმანდნენ“ და მთელი ვაგონი შაქარი მოიპარეს, რისთვისაც წინასწარ ხელსაყრელ ადგილას მიაგორეს ვაგონი, გადმოტვირთეს და მოფარებულ ადგილას გადაზიდეს 63375 მანეთის 65 ტონა შაქარი. ყოველივე ეს ტრიალ მინდორში ან ულრან ტყეში კი არ ხდებოდა, არამედ რკინიგზის დიდ საკვანძო სადგურში, რომელსაც ჰყავს ხელმძღვანელობა, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციები, სახალხო კონტროლის ორგანოები, და ბოლოს — საკუთარი მილიცია. ნაქურდალი შაქარი გადაჰქონდათ ქუთაისის სატრანსპორტო საგზაფხოს სამტრედიის ფილიალისა და სამტრედიის № 2 სამშენებლო სარემონტო-სამონტაჟო სამმართველოს ავტომეურნეობის კუთვნილი ავტომობილებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების დატაცებისათვის ვ. კუჭუხიძესა და თ. ნადირაძეს მიუსაჯა 15 წლის თავისუფლების აღკვეთა სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით. ამასთან ვ. კუჭუხიძე, როგორც დატაცების ორგანიზატორი, სამ წელიწადს ციხეში გაატარებს. ტ. ჩაჩუას სასამართლომ მიუსაჯა 12 წლის თავისუფლების აღკვეთა, ო. დუნდუას — 10 წლის თავისუფლების აღკვეთა სასჯელის შესაბამისად გაძლიერებული და მკაცრი რეჟიმის კოლონიებში მოხდით. დანაშაულებრივი გზით ნაშოვნი ქონების შეძენისა და გასაღებისათვის თ. მოსიძეს მიესაჯა 5 წლის თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ჯ. ხუმბულავას ნაქურდალი შაქრის სპეკულაციისათვის — 7 წლის თავისუფლების აღკვეთა სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით. ყველა მსჯავრდადებულს მიესაჯა მათი კუთვნილი ქონების კონფისკაცია.

პროცესში მოხსენიებული ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოების მიმართ რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ გამოიტანა კერძო განჩინება. მათ წინადადება მიეცათ უმოკლეს ვადაში აღმოფხვრან დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი პირობები. (საქინფორმი).

ᲚᲔᲕᲘᲢᲘᲜᲘᲡ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲡ

რუსთაველის მოედნის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართულმა თეატრმა მისამართი შეიცვალა და სპექტაკლებს რკინიგზელთა სახლში მართავს. „მამათა-კვირაობით, დღეში ორ-სამჯერ თეატრი პარალელურად სპექტაკლებს ძერჟინსკის სახელობის კლუბში უჩვენებს. მოზარდმა მაყურებელმა თეატრის სცენაზე იხილა დ. კლდიაშვილის „ორინეს ბედნიერება“, კ. გოლდონის „ორი ბატონის მსახური“, ე. შვარცის „თოვლის დედოფალი“, გ. შამლინის „დინოზავრებს გაუმარჯოს“ და სხვა სპექტაკლები.

მთავარმა რეჟისორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ შ. გაწერელიამ შარშან თეატრის კოლექტივსა და შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის მესამეკურსელებთან ერთად დადგა ა. ჩხაიძის „თავისუფალი თემა“, რომელსაც მალე რკინიგზელის სახლის სცენაზეც უჩვენებენ. ამჟამად მიმდინარეობს ახალი სპექტაკლების რეპეტიციები. ესენია გ. ნახუცრიშვილისა და ბ. გამრეკელის „ნაცარქექია“, ა. ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი“, თ. ჭილაძის „თავფარავნელის ბალადა“.

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს მიუძღვნის თეატრი ვ. იაკაშვილის პიესას „ქართულ-კახეთის სამეფოს უკანასკნელი წლების ქრონიკა“.

თეატრის ინიციატივით მოზარდებს კვლავ ექნებათ ტრადიციული შეხვედრები თეატრალური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებთან, სტუდენტებთან და თეატრმცოდნეებთან.

მოსწავლეთა მარტის არდადეგებთან დ